# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 თებერვალი 2008 №034 (3258) ფასი 50 თეთრი


# ძველი პრობლემებიც და საიმედო სიახლეებიც საკლუბო ფეხბურთში ხვალ ახალი წელია





## ლევან მჭედლიძეს იოგები დაუდასტურდა

### ემპოლის ქართველ თავდამსხმელს სამთვიანი უქმობა გამოუწერეს

## სალისაბონო საქართველო

### სამით ნაკლები და სამი ახალი

გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა ის 22-კაცა რაზმი ჩამოწერა, 23 თებერვალს ლისაბონში პორტუგალიას რომ დაუპირისპირდება.

იმავ პორტუგალიასთან და რუმინეთთან სათბილისოდ გამოძახებულ შემადგენლობაში სამი ცვლილებაა. რუმინეთთან მოგებულ მატჩში თავინთი ვალი მოიხადეს და კლუბებს დაუბრუნდნენ დავით ზირაქიშვილი, მამუკა გიორგაძე და ირაკლი მაისურაძე. მათ მაგივრად კი, სალისაბონო განაცხადში მოხვდნენ ფრანგული „ლემონის" მეორეხაზელი გიორგი ნემსაძე, ფრანგული „კლერმონის" მესამეხაზელი, ყოფილი მენაკრების ილია მაისურაძის უმცროსი ძმა სიმონ მაისურაძეს და თბილისის „ლელოს" უკანახაზელი ლექსო თოდუა. ამათგან სიმონ მაისურაძე და ლექსო თოდუა ახალბედები არიან და მათი სანაკრებო ნათლობა სწორედ პორტუგალიასთან შედგება, გიორგი ნემსაძემ კი ნაკრებში ერთხელ, სამი წლის წინ ჩილესთან მატჩში ითამაშა.

ტიმ ლეინის საპორტუგალიო შემადგენლობა ასეთია:

*შერკინება: გოდერძი შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ლევან დათუნაშვილი, გიორგი ნემსაძე, კახა უჩავა, სიმონ მაისურაძე, დიმიტრი ბასილაია, შალვა სუთიაშვილი, რატი ურუშაძე;*

*უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, ლაშა მალაღურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, რევაზ გიგაური, ლექსო თოდუა, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ბარკალაია, დავით კაჭარავა, გიორგი შკინინი.*

საქართველოს ნაკრები ლისაბონში მატჩამდე სამი დღით ადრე ჩაფრინდება, მომდევნო დღეს, ტიმ ლეინი სამატჩო შემადგენლობას დანომრავს და ძირითადად და სათადარიგოებად დაყოფს.

ბაჩო სვანიძე





სულ ცოტა, 2,5-3 თვე — ამდენი ხნით მოუწევს უქმობა საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელ ლევან მჭედლიძეს.

იტალიური „ემპოლის“ 17 წლის ფორვარდი რამდენიმე დღის წინ „ინტერის“ ახალგაზრდულ გუნდთან მატჩში მძიმედ დაშავდა და ორდღიანი გამოკვლევების შემდეგ ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დაუსვეს — მარჯვენა მუხლის იოგების განყვეტა...

# მჭედლიძეს თვეები უთხრეს უოპერაციოდ, მაგრამ მაისამდე

— ძალიან გულდაწყვეტილი ვარ. მაინც იმედი მქონდა, რომ ასეთ მძიმე ტრავმას ავცდებოდი — გვითხრა ლევანმა გუშინ, იტალიაში რომ შევეხმიანეთ.

უნიჭიერეს ქართველ ფეხბურთელს „ემპოლის“ ექიმების დიაგნოზით, ძვლის გაბზარვას ეუბნებოდნენ, თუმცა დამატებითმა გამოკვლევამ სხვა რამ აჩვენა — ლევანს იოგები აქვს გაწყვეტილი, რასაც, სულ ცოტა, ორთვენახევარი მოუწევს მკურნალობა.

— მთავარია, ოპერაცია არ დამჭირდა. სხვადასხვა პროცედურების ჩატარებით ვიმკურნალებ და ექიმები მაიმედებენ, რომ სარეაბილიტაციო პერიოდიც არ წაიღებს დიდ დროს. ექიმების რჩევებს გავითვალისწინებ და მჯერა, მალე დავბრუნდები — ესეც ლევანის სიტყვებია და, ცხადია, ჩვენც მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებთ მას.

**ბახა შალამბერიძე**

# აშვეთიამ ისევ გაიტანა

**თურქულ** შეკრებაზე მყოფმა მახაჩყალის „ანჟიმ“ მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა და მორიგი გოლი გაიტანა მიხეილ აშვეთიამ (პენალტით) — დაღესტნელები ლადო ბურდულის „ზარიას“ გაეჯიბრნენ და 2:0 დაამარცხეს.

ვალერი აბრამიძემ და რევაზ ჯიქიამ სრულად ითამაშეს, მიხეილ აშვეთიამ და გიორგი ნავალოვსკიმ პირველი ტაიმი, ზურა არზიანმა და რევაზ ბარაბაძემ კი მეორე ტაიმი.

# ბორჯომში 14 დინამოელს ელის

**„ბათუმისა“** არ იყოს, „ბორჯომიც“ თბილისის „დინამოს“ პასუხს ელის — დედაქალაქური გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი იჯარით ვლადიმერ ხაჩიძის გუნდში ითამაშებს და ამ საკითხს წერტილი დღე-დღეზე უნდა დაესვას. ჯერჯერობით შევიტყვეთ სოსო გრიშიკაშვილის „ბორჯომში“ გადასვლაზე, სხვების ვინაობა კი დინამოელთა თავკაცმა დუშან უჰრინმა უნდა თქვას — ამბობენ, „ბორჯომში“ სულ 14 (!) დინამოელი ითამაშებს და გუნდიც თბილისში დაიდებს ბინასო...

**ბახა შალამბერიძე**

# ზესტაფონს ზესტაფონი ცეკვა-თამაშით დახვდა

**14 თებერვალს** ზესტაფონში რომ დიდი ღონისძიება იგეგმებოდა, რამდენიმე დღის წინ გამცნეთ, მაგრამ შემდეგ ისე განვითარდა მოვლენები, რომ „ზესტაფონს“ ქართული საფეხბურთო რუკიდან გაქრობის საშიშროება დაემუქრა.

საბედნიეროდ, ყველაფერი მოგვარდა და დაგეგმილი შეხვედრა დიდი ტაშ-ფანდურით ჩატარდა. რაიონის ხელმძღვანელებმა საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს კარგი საჩუქარი მოუმზადეს — ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლების ცეკვა-სიმღერა და 500-მდე ქომაგის თბილი დახვედრა.

საღამოს ორგანიზატორებმა გუნდის ლეგიონერებს ქართული ტრადიციული საჩუქრებიც უსახსოვრეს.

გუშინ კი, თოვლის მიუხედავად, გუნდმა მაინც ივარჯიშა. წვრთნა თემურ მახარაძემ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩაატარა. გუნდს შეუერთდა ბრაზილიელი ჟონატას ტორესი, რომელიც თურქულ შეკრებაზე არ ყოფილა. მძიმე ტრავმის გამო ნიკა გელაშვილი „ზესტაფონს“ რამდენიმე თვე ვერ დაეხმარება, დანარჩენები კი რუსთავის „ოლიმპთან“ თამაშისთვის მონდომებით ემზადებიან.

დღეს „ზესტაფონი“ თბილისკენ გამოემართება, ხვალ კი „ოლიმპი“ — „ზესტაფონია“.

**ნუკრი ლოლაძე**

# საფეხბურთო კლუბ ზესტაფონის პრესსამსახურის განცხადება

**როგორც** მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 12 თებერვალს საფეხბურთო კლუბმა „ზესტაფონმა“ მიმართა საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგას ოფიციალური წერილით, რომელშიც გუნდი იტყობინებოდა, რომ უსახსრობის გამო საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და დავით ყიფიანის სახელობის „ყაზბეგის“ თასის გათამაშებაში ველარ ითამაშებდა.

უნდა ითქვას, რომ ფინანსური ხასიათის პრობლემების პარალელურად, ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახლდათ ისიც, რომ ქართულ საფეხბურთო ოჯახში დაგროვდა მთელი რიგი პრობლემატური საკითხებისა, რომელთა დღემდე მოუგვარებლობაც მეტად აფერხებს ქართული ფეხბურთის წინსვლა-განვითარების საქმეს. საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობის ღრმა რწმენით, ზემოთნახსენები პრობლემატიკის მოგვარებისთვის საჭიროა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის, საფეხბურთო კლუბებისა და სპორტული საზოგადოებრიობის ერთობლივი ძალისხმევით განხილულ, შემუშავებულ და სასწრაფოდ ხორცშესხმულ იქნას მთელი რიგი ინიციატივებისა და ღონისძიებებისა, რათა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთში ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს „თავისუფალი ვარდნის“ ტენდენცია და ქართულმა კლუბებმა თავი დაცულად იგრძნონ.

ზემოთნახსენები გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ ხელმძღვანელობას დაუკავშირდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის მესვეურნი და დაარწმუნეს ისინი, რომ ხსენებული ორგანიზაციები მზად არიან, ქართულ საფეხბურთო სამყაროში დაგროვებული საჭირბოროტო საკითხების მოგვარებისთვის შემუშავებულ იქნას მთელი კომპლექსი ინიციატივებისა, რომლის დახმარებითაც ქართული ფეხბურთი შვებას იგრძნობს.

სწორედ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ხელმძღვანელთა ამ საკითხების მოგვარებაში თანადგომისა და მხარდაჭერის იმედად, გაიმართა კლუბის დამფუძნებელთა საქმიანი შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა შექმნილი ვითარება და ექსტრემალურ რეჟიმში იქნა გამონახული ფინანსური სახსრები საიმისოდ, რათა გუნდმა გააგრძელოს მონაწილეობა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში.

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ ულრმეს მადლობას უხდის გულშემატკივრებს, მედიის წარმომადგენლებს და სპორტის ქართველ ქომაგებს ამ მძიმე დღეებში თანადგომისა და მხარდაჭერისთვის!

*საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ პრესსამსახური*

# პისკოვეცს თებერვალი არ მოეწონა: ვითამაშოთ მარტში!

**საქართველოს** ჩემპიონმა რუსთავის „ოლიმპმა“ გუშინ „ოლიმპის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე ივარჯიშა.

ანატოლი პისკოვეცმა გუნდი 1 საათი და 10 წუთი ავარჯიშა — კვადრატი, ფლანგებიდან ჩაწოდება, კარში დარტყმა და ორკარა.



„ზესტაფონთან“ ხვალინდელ სათასო შეხვედრაში რუსთაველებს ვერ დაეხმარება გელა ხუბუა, რომელსაც ბატონები აქვს. უკრაინელი ლეგიონერი ალექსანდრ ომელიანოვი კი იმერლებთან აუცილებლად ითამაშებს — იგი გუნდის განაცხადში უკვე შეყვანილია. ასევე საბოლოოდ მოგვარდა ნიკა სტეფანიშვილის „ოლიმპში“ დარჩენაც, საჩხერის „ჩიხურა“ იჯარაზე დათანხმდა.

ვარჯიშისას პისკოვეცის ყვირილი ისმოდა — უკრაინელი ფეხბურთელებს ყველა შეცდომაზე უცაცხანებდა.

წვრთნა რომ დასრულდა, პისკოვეცმა თავისი გულისწუხილი გვანდო: „ასეთ სიცივეში და თან ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიში არ შეიძლება. ფეხბურთელთა ტრავმები ასეთ დროს ხშირია, თუმც სხვა გზა არ გვაქვს. საქართველოში ამ დროს მინდვრები საშინელ დღეშია. კარგი იქნება, თუ მომავალში სეზონის განახლების დრო შეიცვლება. მარტის დასაწყისში, რომ დავიწყოთ, მგონი, არაფერი დაშავდება. „ზესტაფონთან“ მატჩზე კი გეტყვით, რომ გუნდში საბრძოლო განწყობაა, დანარჩენს კი თამაში გვიჩვენებს“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ორშაბათი ყრილობის დღეა

**ორშაბათს,** 18 თებერვალს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ გაიმართება სფფ-ის ყრილობა.

დღის წესრიგში ორი საკითხია:

1. სფფ-ის წესდებაში შესწორებების და ცვლილებების შეტანა;
2. სხვადასხვა.

ყრილობა 12 საათზე დაიწყება.

---

საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონი“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და ქველმოქმედის

**ბადრი პატარკაციშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

---

საფეხბურთო კლუბი ლანჩხუთის „გურია“ მწუხარებას გამოთქვამს გუნდის ყოფილი მეკარის

**ზურაბ კუნჭულიას**

გარდაცვალების გამო

---

### ინგლისი

**ჩემპიონატი. XXXIII ტური**

სტოკი 3:2 სკანთორპი

### გერმანია

**ბუნდესლიგა. XX ტური**

შალკე 1:2 ვოლფსბურგი

**მეორე ბუნდესლიგა XX ტური**

კარლ ცაისი 1:3 კიოლნი

კობლენცი 1:1 ზანკტ პაული

ვეჰენი 3:0 აუე

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXI ტური**

ვოლფსბურგი (მ) 0:0 ბაბელსბერგი

### ავსტრია

**ბუნდესლიგა. XXIV ტური**

ზალცბურგი 4:0 მატერსბურგი

### საფრანგეთი

**მეორე დივიზიონი XXIV ტური**

აიაჩო 2:1 მონპელიე

ბულონი 0:1 სედანი

დიჟონი 2:2 რეიმსი

გენიონი 3:4 ლე ავრი

გენგამი 1:0 ანჟერი

ლიბურნი 0:0 ბრესტი

ნიორი 1:3 ამიენი

ტრუა 2:0 შატორუ

გრენობლი 2:0 კლერმონი

### ბელგია

**იუპილერლიგა. XXII ტური**

გენტი 3:2 სერკლი

### ჰოლანდია

**ერედივიზიონი. XXV ტური**

აიაქსი 6:2 სპარტა

**II დივიზიონი. XXVIII ტური**

აპელდორნი 5:0 ვეენდამი

ემენი 0:3 დენ ბოსხი

ეინდჰოვენი 2:1 კამბური

ალმერე 1:1 სიტარდი

მაასტრიხტი 1:1 როზენდალი

ვალვაიკი 4:1 დორდრეხტი

ტელსტარი 2:0 ჰელმონდი

ოსი 2:4 ზვოლე

### პორტუგალია

**სუპერლიგა. XIX ტური**

მარიტიმუ 0:3 პორტუ

### თურქეთი

**სუპერლიგა. XXII ტური**

რიზე 2:4 ფენერბაჰჩე

### ფინეთი

**ლიგის თასი I ჯგუფი. IV ტური**

ჰიკ 2:2 მიუპა

ჰონკა 4:1 როვანიემი

**II ჯგუფი. III ტური**

ვაასა 0:0 ჰაკა

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

www.pfl.ge



# ჩამოვთვალოთ კარგიც და ცუდიც ტრიბუნები კი მუდამ შევავსოთ!

ხვალიდან საქართველოში საფეხბურთო სეზონი განახლდება და 26 მაისს თასის ფინალით დასრულდება. სეზონის განახლებაც სათასოა — დავით ყიფიანის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების მეოთხედფინალში რუსთავის „ოლიმპი“ „ზესტაფონს“ დაუხვდება, ჭიათურის „მაღაროელი“ გორში უმასპინძლებს თასის მფლობელ „ამერს“, ცხინვალის „სპარტაკი“ თბილისის „დინამოს“ შეხვდება, ხოლო გორის „დილა“ — „ბორჯომს“. ჩემპიონატის მეორე წრე კი 23 თებერვალს დაიწყება

რუსთავი. 17 თებერვალი. 14 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — ზესტაფონი**

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ლ. მიქელაძე, ზ. ჯვარიძე, დ. ხარიტონაშვილი

გორი. 17 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**დილა — ბორჯომი**

მსაჯები: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ბ. ჭიჭინაძე, ა. კრიჭაშვილი

გორი. 18 თებერვალი. 14 საათი. ქართლი

**სპარტაკი — დინამო**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ბეუქლიშვილი

გორი. 19 თებერვალი. 14 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

**მაღაროელი — ამერი**

მსაჯები: ლ. ფბნიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. გაბრიაძე, პ. დოგრაშვილი

**სეზონი** რომ განახლდება, ამას წყალი არ გაუვა, აი, როგორ განახლდება, სხვა საქმეა...

ქართული ფეხბურთი უპრობლემო არასდროს ყოფილა, საქმე ის არის, სეზონიდან სეზონამდე, წრიდან წრემდე, ამ პრობლემათა ზრდის თუ მოგვარების ტენდენცია როგორია. ამიტომ კითხვა ასე დავსვათ: რას უნდა ველოდოთ უარესს მეორე წრეში და რას უკეთესს? რა და როგორ შეიცვალა პირველი წრის დასრულების მერე?

...თბილისის „დინამომ“ პრეზიდენტი დაკარგა. აწყობილ ქვეყნებში კლუბის პრეზიდენტის გარდაცვალება ოდენ ერთი ოჯახის ტრაგედია იქნებოდა, კლუბის საქმეებს კი ნაკლებად დაეტყობოდა. მაგრამ ეს საქართველოა, სადაც თითქმის ყველაფერი არა გამართულად მომუშავე სისტემაზე, არამედ პიროვნებებზეა დამოკიდებული. ანუ იმის თქმა გვსურს, რომ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალება იმაზე გაცილებით მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს „დინამოს“ მომავალ ცხოვრებაზე, ვიდრე, ვთქვათ, ხესუს ხილი ხილის გარდაცვალებამ იმოქმედა მადრიდის „ატლეტიკოზე“.

თუმცა იმაზე ფიქრი, რომ მეპატრონის დაღუპვის გამო „დინამო“ ჩემპიონობის უპირველესი ფავორიტი აღარ იქნება, ვფიქრობთ, უსაფუძვლოა.

სეზონის განახლებამდე რამდენიმე დღით ადრე კი სპორტულ ჟურნალისტთათვის მთავარ ნიუსმეიკერად „ზესტაფონი“ იქცა. ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში მონაწილეობაზე უარი და ორი დღის მერე ისევ თანხმობა — საწყენად და სამსჯელოდ თითქოს მეტიც რა გინდა, მაგრამ...

მსჯელობას ფაქტები, ოფიციალური კომენტარები სჭირდება, ჩვენ კი ოფიციალურ კომენტარებში მომხდარის გამო ზოგადად გამოთქმული წუხილის გარდა, არაფერი მოგვისმენია. რა თქმა უნდა, არსებობს ეგრეთ წოდებული კულუარული ინფორმაცია, კერძო საუბრები, რომლებზე დაყრდნობითაც დაინტერესებული ადამიანი ლოგიკური დასკვნების გამოტანას შეძლებს, მაგრამ...

მოკლედ, ასე ვთქვათ: ბოლო დღეების ზესტაფონური ამბავი თავისთავად ძალიან ცუდია, მით უმეტეს, რომ რეალურ პრობლემათა სააშკარაოზე გამოტანას ყველა ერიდება, მეორე მხრივ კი, დისკომფორტმა, რომელიც ამ დღეებში ქართულ საფეხბურთო ორგანიზაციებს შეექმნა, ეგებ ამ ორგანიზაციებს მომავალში მეტი წინდახედულობა აიძულოს.

„ზესტაფონის“ პრობლემებმა ბოლო დღეებში წამოჰყო თავი, თასის ორგზის მფლობელ „ამერის“ პრობლემებს კი ცოტა მეტი ხნის ისტორია აქვს. კლუბმა, რომელიც აქამდე წელიწადში ოთხ-ხუთ შეკრებას ატარებდა, ეს ზამთარი თბილისში გაატარა. მიზეზი, ერთი შეხედვით, მარტივია — „ამერს“, ძველ დროსთან შედარებით, დაფინანსება შეეზღუდა. ძველი, 6-წლიანი სასპონსორო პროგრამა ამოიწურა და კლუბი ახალი პარტნიორების ძიებაშია.

ყველაფერი თითქოს გასაგებია, მაგრამ „ერთი შეხედვით“ ვახსენეთ და ახლა პრობლემის არსში ჩაწვდომას შევეცადოთ.

სპონსორული შეთანხმების დასრულებაში, თავისთავად, ტრაგიკული არაფერია. ეს აბსოლუტურად ჩვეულებრივი და ნორმალური ამბავია. პრობლემის მთელი სირთულე კი ახალი პარტნიორების მოძებნაა. საქმე ის არის, რომ კლასიკური გაგებით სპონსორობა, საქართველოში, სათანადო საკანონმდებლო ბაზის უქონლობის გამო, არ არსებობს. პიროვნებები, რომლებსაც ჩვენ სპონსორებად მოვიხსენიებთ, სინამდვილეში ქველმოქმედები არიან. პრობლემის არსიც ეს არის და ისიც აშკარაა, რომ ეს პრობლემა ერთი კონკრეტული კლუბისას ან თუნდაც ერთი კონკრეტული სპორტის სახეობისას სცილდება. ეს მთლიანად ქართული სპორტის პრობლემაა, „ამერის“ მაგალითზე კი ეს, უბრალოდ, ძალიან კარგად ჩანს.

ნორმალურ პირობებში, ორ წელიწადში ოთხი თასის მომგებ გუნდს მსგავსი პრობლემები არ უნდა აწუხებდეს!

და „ბორჯომი“? კლუბი, რომელიც პირველ წრეს მეოთხე ადგილზე ამთავრებს, ზამთარში საქმეები ისე მისდის, უმაღლესი ლიგიდან გავარდნას იმის წყალობით თუ გადაურჩება, რომ უპირობო აუტსაიდერები ვეღარ დაეწევიან.

თუმცა „ბორჯომის“ პრობლემა ამერისეულისგან განსხვავდება — მისი პრობლემა საბიუჯეტო კლუბის პრობლემაა, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საბიუჯეტო კლუბების ბედი იმაზეა დამოკიდებული, რაიონის ხელმძღვანელობა დროის რომელიღაც მონაკვეთში გუნდის დაფინანსებას უფრო მნიშვნელოვნად ჩათვლის თუ, ვთქვათ, ბორდიურების მოწესრიგებას ან ფასადების შეღებვას. და, რაც მთავარია, ბიუჯეტის შემდგენლებს ვერც გაამტყუნებ.

ამიტომაც ძალიან კარგია ახალი სახელმწიფო პროგრამა, საბიუჯეტო კლუბების კერძო მფლობელობაში გადასვლას რომ ითვალისწინებს. ახლა ჯერი ამ პროგრამის ამუშავებაზეა.

აი, კარგ ამბებსაც მივადექით და კომპანია „კოლხიდაზეც“ უნდა ვთქვათ...

ამ მედია-კომპანიის მუშაობის პირველ შედეგს უკვე ხვალ ვნახავთ საზოგადოებრივ მაუწყებელზე „ოლიმპი“ — „ზესტაფონის“ სათასო მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის სახით. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროფესიული ფეხბურთის ლიგის და „კოლხიდას“ ეს ერთობლივი პროექტი მატჩების მიმოხილვების მომზადებასაც გულისხმობს.

სიზუსტისთვის კი ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ წინა სეზონში და ამ სეზონის პირველ წრეშიც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა „ამერის“ მატჩების არაერთი პირდაპირი რეპორტაჟები შემოგვთავაზა. ოღონდ ეს კლუბისა და არხის კერძო შეთანხმება იყო, ახალ ტელეპროექტს კი უფრო მასშტაბური სახე ექნება.

კარგ ამბებს უნდა მივათვალოთ პროფლიგის დაწესებული საპრიზო ფონდიც, რომელიც ამ სეზონში 200 ათას ლარს შეადგენს. რა თქმა უნდა, ეს თანხა ძალიან მცირედით შეუმსუბუქებს ცხოვრებას ქართულ კლუბებს, მაგრამ დასაწყისისთვის რომ უდავოდ მშვენიერია, მტკიცება რად უნდა. მით უმეტეს, ახლო მომავალში საპრიზო ფონდის მნიშვნელოვნად გაზრდაა ჩაფიქრებული.

ისე, შარშან იანვარში, თურქეთში ყოფნისას, ერთი იქაური ტოტალიზატორის საინფორმაციო ბუკლეტი ჩამივარდა ხელში, რომელშიც ეწერა — 2006 წელს მიღებული მოგებიდან ამ უდიდესმა ტოტალიზატორმა თურქეთის პირველი, მეორე და მესამე ლიგების კლუბებს 100 მილიონი დოლარით გაუმართა ხელიო...

პრობლემებსაც და უკეთესობასაც კიდევ შეგვიძლია რაღაც დეტალები დავუმატოთ, მაგრამ ყველა ნიუანსს ერთ საგაზეთო წერილში ვერ ჩავატევთ. ეს კი აუცილებლად უნდა ითქვას: გულშემატკივარმა სტადიონზე უნდა იაროს! ხოლო არგუმენტი, რომ ჯერ ჩვენმა კლუბებმა ითამაშონ „ჩელსის“ და „მანჩესტერის“ დარად და მერე ვივლითო, არ გამოგვადგება. ცარიელი ან თითქმის ცარიელი ტრიბუნების თანხლებით თამაშის ხარისხის გაზრდა ძალიან საძნელო საქმეა და ამასთანავე, თუ გვსურს, სახელმწიფოს თანადგომა უფრო გაიზარდოს, უნდა დავანახოთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამის ჩვენების ერთადერთი გზა კი სტადიონზე სიარულია.

**გიორგი დარჯანია**

# მოდებაძე კრივბასს მიჰყავს

ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი ირაკლი მოდებაძე კრივოი როგის „კრივბასში“ მიდის — ამის თაობაზე კრივოიროგელთა მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ ტარანმა განაცხადა.

მოდებაძე ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან“ წამოსვლის შემდეგ უგუნდოდაა, ამ ცოტა ხნის წინ რუსულ „ამკარში“ ისინჯებოდა, თუმცა ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

როგორც შევიტყვეთ, მოდებაძით რუსული „ყუბანი“ და უკრაინული „ზარია“ იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა ჩანს, „კრივბასმა“ ყველას დაასწრო და...

„ძალიან მინდა, საქმეში ვნახო ირაკლი მოდებაძე, ვინც ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ თამაშით გეცოდინებათ. ეს ფეხბურთელი ექვსი წლის წინ მე აღმოვაჩინე უკრაინაში და მისი შესაძლებლობები ზეპირად ვიცი. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ალბათ ირაკლის დავიტოვებთ. მით უმეტეს, ის ახლა თავისუფალი აგენტია და თავად მთხოვა, გუნდში მიმეწვია“ — განაცხადა ტარანმა.

**კახა შალამბერიძე**





სანდრო კობახიძე (შუაში)

# დნიპრო შამპანურს არ სვამს

11 თებერვალს „დნიპრო“ თურქეთში იყო შეკრებაზე და ამ დღეს გუნდის ახალწვეულ სანდრო კობახიძეს დაბადების დღე ჰქონდა. იმავ დღეებში „დნიპროს“ კიდევ ორ ფეხბურთს ჰქონდა დაბადების დღე და ჟურნალისტებმა მწვრთნელ ოლეგ პროტასოვს ჰკითხეს, შამპანურის დალევის უფლება თუ გაეცითო.

„არა, მხოლოდ არაყი დავლიეთ. ეს ხუმრობით, სერიოზულად კი გეტყვით, რომ შამპანურის დალევა შეკრების დროს არცთუ სასიკეთოა. ჩემს დაბადების დღესაც კი მხოლოდ ერთი ყლუპი შამპანური დავლიეთ და მით უმეტეს, ფეხბურთელებს, თუ ამის აღნიშვნა სურთ, უჯობთ, სხვა დროს გააკეთონ ეს, ვიდრე შეკრებებზე“ — თქვა პროტასოვმა, რომელსაც ახალწვეულების ადაპტაციაზეც შეეკითხნენ და მათ შორის, ცხადია, კობახიძეც იგულისხმება...

„ყველა ახალწვეულმა კარგად წარმოაჩინა თავი. ეს შეკრებები სწორედ იმიტომაა, რომ მათ გუნდის განუყოფელ ნაწილად იგრძნონ თავი. ჯერჯერობით, ახლები ამას მშვენივრად ახერხებენ“.

**ილია ნანობაშვილი**

# რუსეთმა საქართველო ვერ მოიშუშა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ევროშესარჩევი მეტოქე რუსეთი 26 მარტს ლუბლიანაში სლოვენიას ამხანაგურად გაეჯიბრება.

ბორის სტუკალოვის გუნდი ჯგუფში პირველ ადგილზეა თამაშით ნაკლებ და ქულადაუკარგავ ესპანეთთან ერთად.

რუსებს თბილისში 0:2 მარცხი დღემდე ვერ მოუნელებიათ და ამბობენ, ევროპის ჩემპიონატზე თუ ვერ გავედით, მთავარი „დამნაშავე“ საქართველო იქნებაო.

შეგახსენებთ, რომ პეტარ სეგრტის საქართველო რუსეთს სტუმრად 5 სექტემბერს შეხვდება.

**კახა შალამბერიძე**

# ძველი სურათი: ალადაშვილი მარცვალაძის გარეშე



უკრაინულ „ხარკოვთან“ ერთად თურქულ შეკრებაზე მყოფმა ქართველმა ფეხბურთელმა კახა ალადაშვილმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა — „ხარკოვი“ რუმინულ „უნირიას“ 1:1-ზე გაეყარა.

ალადაშვილი, როგორც ყოველთვის, ხარკოველთა ძირითად შემადგენლობაში იყო და შეუცვლელად ითამაშა.

სამაგიეროდ, კვლავ არ გამოჩენილა ახალგამოჯანმრთელებული ოთარ მარცვალაძე.

**კახა შალამბერიძე**

# ჯაკობიამ მწვრთნელი გააბრაზა

პოლტავის „ვორსკლა“ და ლაშა ჯაკობია რუსეთის პირველდივიზიონელ „მეტალურგ-კუზბასს“ გაეჯიბრნენ და უგოლოდ დაშორდნენ.

„ვორსკლას“ ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ქართველი თავდამსხმელი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა და სამი ასპროცენტიანი საგოლე შანსი მიეცა, თუმცა ვერ გამოიყენა და მთავარი მწვრთნელიც ძალიან გააბრაზა.

თურქულ შეკრებაზე მყოფი „ვორსკლა“ კიდევ ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს — მოლდოვურ „ზიმბრუსთან“ და პოლონურ „ლეგიასთან“.

**კახა შალამბერიძე**

# ხიროსიმა უქართველოდ დამარცხდა

თურქულ ბელეკში მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა და იაპონურ „ხიროსიმას“ 3:2 მოუგო.

რკინიგზულ კლუბს 16 თებერვალს სლოვენიურ „ოლიმპასთანაც“ აქვს მატჩი დაგეგმილი და ამიტომ მწვრთნელებმა სათადარიგო ფეხბურთელები ათამაშეს, ანუ მალხაზ ასათიანი და დავით მუჯირი არ გამოჩენილან.

მოსკოველთაგან გოლები კორნიაგინმა, სტარკოვმა და მამინოვმა გაიტანეს.

**კახა შალამბერიძე**

# ლომიძე ზიმბრუს მიუბრუნდა

მოლდოვურ „ზიმბრუში“ პრობლემები რომ შეიქმნა, რამდენიმე დღის წინ გამცნეთ. კიშინიოვური გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ხელმძღვანელობას დაუპირისპირდა და შეკრებაზე წასვლა იუარა. საქმე დავალიანების გასტუმრებას ეხება.

ჩვენ ეს ამბავი იმად გვაინტერესებს, რომ „ზიმბრუში“ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი მამუკა ლომიძე ირიცხება.

მოლდოვური პრესის ცნობით, კლუბის ხელმძღვანელობამ რამდენიმე ფეხბურთელთან მორიგება შეძლო და მათ შორის ლომიძეცაა.

ჩვენებური გუნდს თურქულ შეკრებაზე უკვე შეუერთდა და ტესტ-მატჩის გამართვაც მოასწრო — „ზიმბრუ“ 1:2 დამარცხდა უკრაინულ „ვოლინთან“.

ლომიძემ სრულად ითამაშა.

**კახა შალამბერიძე**

# რა ღირს მესამე ყურის გამობმა?



ჯოვანი ტრაპატონი: გადაიხადით? მოვდივარ!

ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ ნაკრების მთავარ მწვრთნელად იტალიელი ჯოვანი ტრაპატონის დანიშვნა მილიარდერი დენის ობრაიენის დახმარებით შეძლო.

ბრიტანული THE TIMES-ის ცნობით, ობრაიენი იტალიელისთვის გადასახდელი ხელფასის ნახევრის გასტუმრებას დათანხმდა.

„ობრაიენი დაგვიკავშირდა და ჩვენს გეგმებს მხარი დაუჭირა. ის მზად არის, თანხა გაიღოს. ობრაიენის პოზიცია ასეთია — კარგი კანდიდატის მოსაძებნად ფული წინაღობა არ უნდა გახდეს. ამ ადამიანისთვის მთავარი მიზანი ტოპ-მწვრთნელის მოწვევა გახლდათ და მწვრთნელის მოძებნისას სწორედ მისი დახმარება გახდა გადამწყვეტი, რამაც საშუალება მოგვცა, ჩვენი შესაძლებლობების თამასა მაღლა აგვეწია“ — განაცხადა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯონ დილეინმა.

THE TIMES-ის ცნობით, შარშან ირლანდიის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში ობრაიენი მე-4 ადგილზე იყო და მისი ქონება 1,5 მილიარდ გირვანქას შეადგენდა. მას ბიზნესინტერესები აქვს ავიაგადაზიდვებში, მობილური კავშირში, მასმედიასა და უძრავ ქონებაში.

მოკლედ, ტრაპატონიმ „სამყურების“ ფეხბურთის ასოციაციასთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

„2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა იოლი არ არის და იტალიელებთან ჩასატარებელი მატჩებიც ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება შეგვიძლია“ — განაცხადა ტრაპატონიმ კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.

ჩვენს მეტოქე ირლანდიის ნაკრებში ტრაპის დებიუტი 24 მაისს სერბეთის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში შედგება.

**კახა შალამბერიძე**



დენის ობრაიენი: მილიონი ჩემზეა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერთი თავი დაუწერელი წიგნიდან

*ახლა საქართველოს ნებისმიერი ასაკობრივი ნაკრები ერთ მატჩს რომ მოიგებს, ლამისაა, დაფდაფები დავაქუხოთ. მაგრამ იყო დრო (და შორს ნასვლა არ მოგვიწევს), როცა ჩვენმა 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გააღწია — 8 საუკეთესოში მოხვდა.*

*კარგი თაობა? კი, მართლაც კარგი თაობა იყო, დღეს „კოპალას ბიჭებიდან“ რამდენიმე ეროვნულ ნაკრებში თამაშობს, ან უთამაშია მაინც.*

*„მაშინ იმის ნახევარი პირობებიც არ იყო, რაც ახლაა. მხოლოდ ერთი შეკრება გავიარეთ ამხელა ტურნირის წინ“ — გვითხრა იმდროინდელი საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა ვახტანგ კოპალეიშვილმა, რომელიც ამჟამად თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში ავარჯიშებს 16-17 წლის ჭაბუკებს. ბედნიერი 1999-ის გასახსენებლადაც სწორედ აკადემიაში ვესტუმრეთ...*



*ილია ნანობაშვილი*

# კოპალას ბიჭებს ABBA უმღეროდა

## ვახტანგ კოპალეიშვილი: არ დავბერებულვარ!

***სანამ*** *კოპალეიშვილი შვედეთში გამართულ ფინალურ ეტაპზე მოგვიყვება, ჩვენით ვთქვათ, იმ 8-გუნდა ჩემპიონატზე ევროგრანდებს რამდენი მომავალი ვარსკვლავი ჰყავდათ: იტალია ენცო მარესკათი, მარკო მარკიონით, ჯუზეპე კოლუჩით; ესპანეთი ასიერ დელ ორნოთი, დავიდ აგანსოთი, იკერ კასილიასით და ვისენტეთი; პორტუგალია მიგელით და პაულო ფერეირათი; საბერძნეთი ანგელოს ხარისტეასით; შვედეთი პონტუს ფარნერუდით, მაგნუს ედმანით; საფრანგეთი სტიდ მალბრანკით, ფლორენ მალუდათი, სებასტიენ ფრეით და ჟულიენ ესკუდეთი.*

*ევრო 1999-ისკენ გასავლელი გზა „კოპალას გუნდმა“ წინა წლის ოქტომბერში, უნგრეთში დაიწყო, როცა ბულგარეთ-უნგრეთ-საქართველოდან ერთი გუნდი უნდა გასულიყო ფინალური ეტაპის ზღვარზე, იქ კი პლეი ოფი ელობებოდა, ანუ ერთი ეტაპის გავლა და 8 გუნდში იყავი... როგორი სათქმელია, არა? ჯერ უნგრეთში მოერიე მასპინძელს და ბულგარეთს, მერე კიდევ, ვინ იცის, ვინ შეგხვდება.*

*აქვე, იმ 18-კაციან შემადგენლობას გთავაზობთ, რომელიც კოპალეიშვილმა 8-გუნდა ფინალურ ეტაპზე წაიყვანა.*

***მეკარეები:*** *ზურაბ ბათიაშვილი, გრიგოლ ბედიაშვილი;*

***მცველები:*** *ოთარ ხიზანეიშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, ჯაბა მუჯირი, ვალერი აბრამიძე, ედიკ საჯაია;*

***ნახევარმცველები:*** *ლადო ბურდული, დავით დილმელაშვილი, ლაშა ნოზაძე, ლევან კორღალიძე, ზურაბ მენთეშაშვილი, ოლეგ გველესიანი, სოსო დევიძე;*

***თავდამსხმელები:*** *ვალერი გაგუა, გია იმედაძე, გიორგი მიქაძე, რევაზ გოცირიძე.*

— მშვენიერი თაობა იყო, მაგრამ მაინც ძნელი წარმოსადგენია ხომ, საქართველო 7 საუკეთესოში რომ გააღწევდა? მერვე კი ფინალური ეტაპის მასპინძელი შვედეთი გახლდათ. უნგრეთში დაიწყო შესარჩევი ციკლი, ჩვენ ბულგარელებთან და უნგრელებთან უნდა გავსულიყავით. საბედნიეროდ, ერთი მოგება და ერთი ფრე გვეყო — უნგრეთთან 0:0 ვითამაშეთ და ბულგარეთს 2:1 ვაჯობეთ.

...უფრო ძნელი მატჩები პლეი ოფში გველოდა, სადაც ჩეხეთი უნდა გამოგვეთიშა. პირველი თამაში აპრილში იყო ჩეხეთში. ქალაქ ოპავაში ჩავედით და იქ ალექსანდრე ჩივაძეც გახლდა. 2:0 ვიგებდით და ჩეხებმა ბოლოს გაგვიტანეს ორი გოლი. ორივე ბურთი ჩვენგან ლაშა ჯაკობიამ შეაგდო, რომელიც მაშინ ბელგიურ „სტანდარდში“ თამაშობდა. ლაშას გმირობა სახეზეა: მას ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ექიმმა დათო იოსელიანმა ყველა ღონე იხმარა, რათა ეთამაშა და მანაც... კლასიანი ფორვარდი რომ გყავს გუნდში, სულ სხვაა — ჯაკობიამ ჩეხები გააწამა. არადა, ჩეხებს ჰყავდათ ბაროში, გრიგერა, როსიცკი, ურბანეკი და პოლაკი, რომლებიც ახლა ევროპის წამყვან კლუბებში არიან. მახსოვს, ოპავაში 2:2 რომ დამთავრდა, მატჩის შვედი კომისარი მოვიდა ჩვენთან და გვითხრა, 90 პროცენტით ვიცი, რომ თქვენ გახვალთ ევროპაზე, იმდენად კარგად ითამაშეთო.

...საპასუხო მატჩი 11 მაისს იყო ბათუმში. რატომ ბათუმში? საგანგებოდ ავირჩიეთ — ბათუმში ნოტიო ჰაერი იყო, ცხელოდა, თანაც ჩეხებს ღონიერი და მორბენალი ბიჭები ჰყავდათ, ამიტომ განიერ მინდორზე თამაშს მოვერიდეთ.

დავით დილმელაშვილის თავურით 1:0 წავიყვანეთ, მერე ჩეხებმა გაგვითანაბრეს, მაგრამ მეორე ტაიმში ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. ბაროშს საჯაია დავუყენეთ პერსონალურად და ამან გაამართლა: ბაროში იმდენად გაწვალდა, რომ ნერვებს ველარ მოერია, ახალგაზრდებში ხშირია ასეთი შემთხვევა — ის გააძევეს, ამის მერე კი ცხადი იყო, რომ ევროპაზე ვიყავით. გაგუა სამი წუთის შესული იყო მინდორზე და თამაშის ბოლოს გოლი გაიტანა, რამაც ჩეხები მთლიანად მოშალა.

....11 მაისი ერთ-ერთი წარმატებული დღე იყო ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. გაისად ამ მატჩის 10 წლისთავი სრულდება და გვინდა, რომ აღვნიშნოთ, მწვრთნელ-ფეხბურთელები ერთად შევიკრიბებით და გავიხსენებთ იმ ლამაზ მოგებას.

...8 გუნდი ფინალურ ეტაპზე — და თქვენ წარმოიდგინეთ, იქ იყო საქართველო და არ იყვნენ გერმანია, ინგლისი, ჰოლანდია, რუსეთი, უკრაინა და ჩეხეთი. არადა, ყველა ამ ქვეყანას საკმაო წარმატებები ჰქონდა ამ ასაკში...

...შვედეთში ჩავედით ჯაკობიას გარეშე: სამწუხაროდ, მან ვერც ჩეხეთთან ითამაშა შინ, ტრავმამ ძალიან შეაწუხა. ჯაკობია რომ გვყოლოდა, არ ვიცი, შესაძლოა, არანორმალური წარმატებისთვის მიგვეღწია. უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი სამშობლოში იყო და მატჩებს ესწრებოდა, ჩვენს დელეგაციასთან მოვიდა და მოგვისამძიმრა ნოდარ ახალკაცის გარდაცვალების გამო, დიდი ადამიანი დაკარგეთო. ამასთან, იუჰანსონი გაკვირვებული იყო, საქართველო როგორ მოხვდა ფინალურ ეტაპზეო. გულთბილად მოგვილოცა ეს წარმატება...

...მშვენიერი პირობები შეგვიქმნეს. ან ამას თქმა რად უნდა, შვედეთი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქვეყანაა ევროპაში. რვავე ნაკრები ერთ სასტუმროში ვცხოვრობდით. სხვათა შორის, კარგი მსაჯობა იყო ტურნირზე — საქართველოს მოხვედრა ყველაზე დიდი სენსაცია იყო, მაგრამ არ დაგვჩაგრულვართ. თანაც, იუჰანსონი, ამხელა კაცი ესწრებოდა ტურნირს და ვერ გაბედავდნენ...

...ჩემპიონატის გახსნა ერთი სანახაობა იყო. ლეგენდარულმა შვედურმა ანსამბლმა ABBA-მ ყველა ნაკრებს თითო სიმღერა მიუძღვნა ცოცხლად და განა შეიძლება, რომელიმე ფეხბურთელს ეს დაავიწყდეს?!

...მშვენიერი გუნდი მყავდა და ბედნიერი ვარ, რომ ამ ბიჭების უმრავლესობამ ეროვნული ნაკრების კარი მალე შეაღო. ოთხი მათგანი სულაც იმ წელსვე მოხვდა იოჰან ბოსკამპის ნაკრებში — იმედაძე, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი და დილმელაშვილი. აქვე ვიტყვი, რომ ფართო არჩევანი მქონდა — შვედეთში ვერ წავიყვანე გიორგი ადამია, შალვა აფხაზავა, გიორგი დეკანოსიძე, მალხაზ ასათიანი — ზოგ მათგანს ტრავმა ჰქონდა, ზოგი ჯერ არ იყო მომწიფებული საამისოდ...

...ჯგუფის პირველი მატჩი იტალიასთან გვქონდა. 0:2 წავაგეთ, მაგრამ მეორე ბურთი მატჩის მიწურულს გაგვიტანეს, მანამდე კი გათანაბრება შეგვეძლო, უპირატესობას კარგა ხანს ჩვენ ვფლობდით. მეორე შეხვედრაში, ირლანდიასთან 3:3 ვითამაშეთ — ორჯერ ვიგებდით და გაგვითანაბრეს. ფაქტობრივად, მოგებული გვქონდა და ბოლო წუთზე გავუშვით გოლი. თანაც, ირლანდია ევროპის მოქმედი ჩემპიონი იყო 18-წლამდელებში და 1999-შიც კარგი ნაკრები ჰყავდა.

მესამე მატჩს უკვე ნაკლებად ჰქონდა აზრი ჩვენთვის. ესპანეთთან დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო და თან იტალია — ირლანდიის შედეგზე ვიყავით დამოკიდებულნი. 1:4 წავაგეთ, გაგუამ გაიტანა პენალტი. ესპანელთაგან გამოირჩეოდნენ დელ ორნო და აგანსო. ტრავმის გამო ვერ ითამაშეს მეკარე იკერ კასილიასმა და ვისენტემ, რომლებიც დღეს „რეალის“ და „ვალენსიას“ ვარსკვლავები არიან...

...ჩემპიონატი პორტუგალიამ მოიგო, ჩვენ კი მაინც ამაყნი დავბრუნდით საქართველოში. აკი ვთქვი, გაისად 11 მაისს გვინდა აღვნიშნოთ ევრო 99-ზე გასვლის 10-წლისთავი. კარგი, შეკრული გუნდი გვყავდა. ჩემი თანაშემწე თენგიზ კაცია, გუნდის უფროსი თამაზ კოსტავა, ექიმი დავით იოსელიანი, მასაჟისტი გოგიტა ლობჟანიძე — ყველანი ერთად ვიყავით. არ დაგავიწყდეთ, ამ ტურნირამდე მხოლოდ ერთი შეკრება გავიარეთ, გერმანიაში ვიყავით. დღეს კი გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ ასაკობრივ ნაკრებებს...

...იცით, რატომ გვყავდა კარგი გუნდი? თამაშობდნენ ისინი, ვინც ამას იმსახურებდნენ. ჩვენი, ძველი თაობის გამოყენება ახლაც შეიძლება ასაკობრივ გუნდებში, არ დავბერებულვარ და მაშინ თუ რაღაც ნიუანსები შეიძლება გამომპარვოდა, დღეს აღარ გამომეპარება. მაგრამ...




ვახტანგ კოპალეიშვილი ისევ ფორმაშია

### ევრო 99

**შესარჩევი ეტაპი**

12.10.98 უნგრეთი 0:0 საქართველო

14.10.98 ბულგარეთი 1:2 საქართველო

გოლები: მენთეშაშვილი, ჯაკობია

**პლეი ოფი**

21.04.99 ჩეხეთი 2:2 საქართველო

გოლები: ჯაკობია (2)

11.05.99 საქართველო 2:1 ჩეხეთი

გოლები: დილმელაშვილი, გაგუა

**ფინალური ეტაპი**

19.07.99 იტალია 2:0 საქართველო

21.07.99 ირლანდია 3:3 საქართველო

გოლები: მენთეშაშვილი, გაგუა (2)

23.07.99 ესპანეთი 4:1 საქართველო

გოლი: გაგუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ენიოლა ალუკოს ძმა ომატსონე

## აგერომ ორთა შუა გადააფურთხა

**უეფას თასი 2007-2008**
**1/16 ფინალი. I მატჩები**

**აბერდინი (შოტლანდია) 2:2 ბაიერნი (გერმანია)**
1:0 უოკერი (24), 1:1 კლოზე (29), 2:1 ალუკო (41), 2:2 ჰამიტ ალტინტოპი (55)
**ციურიხი (შვეიცარია) 1:3 ჰამბურგი (გერმანია)**
0:1 იაროლიმი (49), 0:2 ოლიჩი (67), 0:3 ტროხოვსკი (77), 1:3 ჰასლი (88)
**რუსენბორგი (ნორვეგია) 0:1 ფიორენტინა (იტალია)**
0:1 მუტუ (16)
**ბოლტონი (ინგლისი) 1:0 ატლეტიკო (ესპანეთი)**
1:0 დიუფი (74)
**სლავია (ჩეხეთი) 1:2 ტოტენჰემი (ინგლისი)**
0:1 ბერბატოვი (4), 0:2 კინი (30), 1:2 სტრიჰავკა (69)
**ბენფიკა (პორტუგალია) 1:0 ნიურნბერგი (გერმანია)**
1:0 მაკუკულა (43)



შეცვლაზე შესული აგერო 14 წუთში გააძევეს

**ჩელსელ** ფეხბურთელ ენიოლა ალუკოზე თუ არაფერი გსმენიათ, არცაა გასაკვირი. ეს გოგო „ჩელსის" ქალთა გუნდში თამაშობს, მისი ძმა ომატსონე კი იანვარში „ბირმინგემმა" „აბერდინს" ათხოვა. 18 წლის ომატსონე ალუკო ნიგერიელია, მაგრამ ინგლისის მოქალაქე. სწორედ მან მიითვალა გოლი და საგოლე პასი „ბაიერნთან" და ბუნდესლიგის ლიდერი გაწბილებული დატოვა.

ოლივერ კანის ნაცვლად მოთამაშე მიხაელ რენზინგს პირველი გოლი ჯოშ უოკერმა გაუტანა საჯარიმოს გარედან და მასპინძლები დააწინაურა. „აბერდინს" ტრავმების გამო 13 ფეხბურთელიღა დარჩა მატჩამდე და მწვრთნელმა ჯიმი კალდერუდმა პატარებით შეავსო განაცხადი და მათ შორის იყო უოკერიც, რომელიც ალუკოსავით 18 წლისაა.

„ბაიერნმა" მალევე უპასუხა — ტონიმ თავით დაუგდო ბურთი კლოზეს და მირომაც გაიტანა. ტაიმის მიწურულს ომატსონე ალუკომ კრისტონ ლელი ჩამოიშორა და მასპინძლები ისევ წინ გაიყვანა. ფეხბურთელები ბოლო ორ მატჩში პენალტებს ცუდად ასრულებენ, „ვერდერთან" 11 მეტრიდან ტონიმ ვერ გაიტანა და „აბერდინთან" ჰამიტ ალტინტოპს მეკარემ აუღო, თუმც თურქმა დამატებაზე ივარგა და გაათანაბრა. პენალტი ხელით თამაშისთვის დაინიშნა, რაც ჯიმ კალდერვუდმა ნამატჩევს გააპროტესტა. პირველ წუთზე საჯარიმოში ხელზე ბურთი კრისტიან ლელსაც მოხვდა, მაგრამ მსაჯმა წაუყრუა. ლუკა ტონის და შეცვლაზე შესულ ლუკაშ პოდოლსკის მართებდათ გატანა, მაგრამ მეკარე ჯეიმი ლენგკილდმა იყოჩაღა.

„ჰამბურგმა" ციურიხში მოიგო, თუმც ცუდი ამბავიც შეემთხვა. პირველივე ტაიმში რაფაელ ვან დერ ვაარტი დაშავდა და შეცვალეს. ულიდერობა სტუმრებს არ დასტყობიათ და მეორე ტაიმში ნახევარ საათში სამი გოლი შეაგდეს. ოლიჩი-გერეროს კომბინაცია ერთი შეხებით და ზუსტი დარტყმით დავიდ იაროლიმმა დაასრულა. მეორე გოლშიც გერეროს ფეხი ერია, რომლის პასიც ივიცა ოლიჩმა შეირგო და სხვაობა ორამდე გაზარდა. პიერ ტროხოვსკიმ საჯარიმოთი მესამე მიაყოლა და მასპინძელმა ჰასლმა ასევე საჯარიმოთი უპასუხა.

მადრიდის „ატლეტიკოს" ვარსკვლავი სერხიო აგერო „ბოლტონთან" შეცვლაზე შესვლიდან რამდენიმე წუთში გააძევეს. არგენტინელს მეტიუ ტეილორი ეუხეშა და აგერომ მისკენ გადააფურთხა. მსაჯიც იქვე იყო და „აქლემი" მოედნიდან მიაბრძანა. ნამატჩევს „ატლეტიკოს" მწვრთნელმა ხავიერ აგირემ განაცხადა, ეპიზოდი გამეორებით ვნახე, არგენტინელმა მოედანზე დააფურთხა, მსაჯსა და ტეილორს შორისო. „ბოლტონმა" მას შემდეგ გაიტანა, რაც მეტოქე კაცნაკლული დარჩა. ელ ჰაჯი დიუფმა ათი მეტრიდან შეაგდო.

„ტოტენჰემმა" პირველივე ტაიმში მოამთავრა საქმე და „სლავიას" ორი გოლი მიართვა. დიმიტარ ბერბატოვმა საჯარიმოს ხაზიდან დაბალ კუთხეში შეაცურა ბურთი, მეკარესთან პირისპირ გასულ რობი კინს კი მომენტის გამოყენება არ გასჭირვებია. მასპინძლებმა მეორე ტაიმში ტოტენჰემელთა გოლკიპერის შეცდომის წყალობით ერთი გოლი გაქვითეს. რადეკ ჩერნის ბურთი ხელიდან გაუვარდა და იქვე მყოფმა დავიდ სტრიჰავკამ ამით ისარგებლა.

„ნიურნბერგის" ახალი მწვრთნელის თომას ფონ ჰესენის დებიუტი მარცხიანი გამოდგა — ლისაბონში „ბენფიკასთან" წააგო. თუმცა 0:1 საპასუხო მატჩისთვის გერმანელებს კარგ შანსს უტოვებს. არიზა მაკუკულამ 20 მეტრიდან გაიტანა. ნიურნბერგელ მეკარეს იარომირ ბლაჟეკს შეეძლო მოგერიება, რადგან ბურთმა ფეხთან გაუარა, მაგრამ ხელ-ფეხი უშნოდ გაშალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვერ მოგართვით, დიტერ!

## ვიშნიარეკმა მატჩამდე გაიტანა

**ბილეფელდის** „არმინიას" ფორვარდმა არტურ ვიშნიარეკმა ბერლინის „ჰერტას" მატჩისწინა დღეს შეუტია. ეს გუნდები ერთმანეთს დღეს ხვდებიან, პოლონელი ფეხბურთელი კი „ჰერტას" ყოფილი მოთამაშეა. იგი 2003-2006 წლებში იყო ბერლინურ გუნდში და ოთხ გოლზე მეტი ვერ შეაგდო. ამის გამო დაიწუნეს და „არმინიას" მიჰყიდეს. ბილეფელდში ვიშნიარეკი „გაცოცხლდა" და წელიწადნახევარში 18 გოლი შეაგდო, რითაც დაამტკიცა, რომ ტყუილად ჩამოწერეს.

და აი, ახლა, ყოფილ გუნდთან მატჩის წინ პოლონელმა „ჰერტას" მენეჯერის გასალანძღად მოიცალა. „დიტერ ჰიონესმა ჩემი კარიერის წახდენა მოინდომა, მაგრამ არ გამოუვიდა. 26 წლისა საუკეთესო ფორმაში მოვედი „ჰერტაში", ძირითად შემადგენლობაში კი 30 წლის ფრედი ბობიჩს ათამაშებდნენ. მწვრთნელი ამას ჰიონესის დავალებით აკეთებდა. ახლაც არ მესმის, რითი მჯობდა ბობიჩი. „ჰერტა" ბოლო წლებში სულ რომ ჯახირობს და ვერაფერს იგებს, ჰიონესის ბრალია" — განაცხადა არტურ ვიშნიარეკმა, ვისაც კრიტიკისთვის ალბათ ჯიბის შეთხელება მოუწევს. მის კონტრაქტში წერია, რომ თუ იგი ყოფილი გუნდის შეფებზე ცუდ რამეს იტყვის, 50 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს.

„ჰერტას" კაპიტანი არნე ფრიდრიხი დიტერ ჰიონესს გამოექომაგა. „ასეთი რამეების ლაპარაკი ყოფილ გუნდზე არ შეიძლება. მენეჯერის ბრალი არ არის, რომ ვიშნიარეკმა ჩვენთან თავი ვერ გამოიჩინა".

**ვაჟა ხუციშვილი**



# მაჰამადუ დიარა ინტერის ინტერესია

**იტალიური** პრესის ინფორმაციითა და მაჰამადუ დიარას აგენტის ფრედერიკ გუერას აზრით, დიდი შანსია, მალელი ზაფხულში მილანის „ინტერში" გადავიდეს.

26 წლის ნახევარმცველს, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „იუვენტუსსაც" უკავშირებენ, „რეალთან" 2011 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ მისი მადრიდული კარიერა ვერ აეწყო.

„სამეფო გუნდმა" „ლიონს" 2006 წლის ზაფხულში მასში დაახლოებით 23 მილიონი ევრო გადაუხადა, ახლა კი, ალბათ, „ინტერის" მიერ შეთავაზებულ 13-14 მილიონს დაჰყაბულდება, თორემ დიარას ფასი კიდევ უფრო დაეცემაო, წერს „ლა გაძეტა დელო სპორტი".

„მას მერე, რაც „ინტერის" სპორტულ დირექტორ მარკო ბრანკას ვესაუბრეთ, ვიცით, რომ „ნერაძური" მაჰამადუთი რეალურადაა დაინტერესებული. იანვარში ყველაფრის მოგვარება ვერ ესწრებოდა, ახლა კი იმაზე ვმუშაობთ, რომ ეს ტრანსფერი ივნისში შედგეს და დიდი შანსია, ასეც მოხდეს" — განაცხადა გუერამ.

**ქოქი ქანდელაკი**

# ლევანტემ პატრონს უფლება აჰყარა



პედრო ვილიაროელი

**„ლევანტეს"** მმართველთა საბჭომ კლუბის აწ უკვე ყოფილ უმაღლეს აქციონერს, პედრო ვილიაროელს თავისი კუთვნილი სააქციო პაკეტი უკან დააბრუნებინა. ანუ კაცი, რომელიც 26 წლის განმავლობაში ვალენსიური კლუბის პატრონი იყო, დღეს ოდენ მმართველი საბჭოს წევრია და შესაძლოა, „ლევანტესთან" ურთიერთობა მალე სულაც გაწყვიტოს.

„ვიცოდი, რომ რაღაც შეთქმულებასავით მზადდებოდა, თუმც კლუბის წარმართველი პოლიტიკის მოდიფიცირება ასე უეცრად, ნაჯახის ერთ დაკვრასავით არ უნდა მომხდარიყო" — უთხრა გულნატკენმა ვილიაროელმა მედიას.

გინდ მოდიფიცირება დაარქვით და გინდ შეთქმულება, „ლევანტეს" კი სასწრაფო ცვლილებები უსათუოდ ესაჭიროება. გუნდი პრიმერადივიზიონში ბოლო ადგილზე სულს ლაფავს, მოედანს გარეთ კი უზარმაზარი ვალი აწრჩობს.

სენიორ პედრო ვილიაროელს აქციათა 70,3% ეკუთვნოდა, რაც ამიერიდან მმართველი საბჭოს საკუთრებაა. ვალების რესტრუქტურიზაციის ამბავს კი ამიერიდან ქალაქის მერია მოაგვარებს, თუმცა ამ ფინანსური ორომტრიალიდან გამოძრომა ძალიან ძნელი იქნება. ერთი სიტყვით, ჰოთა არველაძის გუნდში დიდი არეულობაა.

**ლადო ხომერიკი**

**ჩილე**
**აპერტურა. IV ტური**
**ევერტონი 3:1 უნივერსიდად დე ჩილე**

**ლიბერტადორესის თასი 2008**
**II ჯგუფი. I ტური**
**ლანუსი (არგენტინა) 3:1 დანუბიო (ურუგვაი)**
1:0 პელეტიერი (9), 1:1 აბელენდა (37), 2:1 აკოსტა (58), 3:1 სანდი (87)
**IV ჯგუფი. I ტური**
**სიენსიანო (პერუ) 2:1 ნასიონალი (ურუგვაი)**
1:0, 2:0 ვასალო (54, 67), 2:1 ვიქტორინო (88)



# კარლ-ჰაინც რუმენიგემ მსაჯებს დაუსტვინა

**მიუნხენის** „ბაიერნის“ შეფის კარლ-ჰაინც რუმენიგეს აზრით, გუნდს ამ სეზონში მსაჯები აშკარად ჩაგრავენ. მისი თქმით, „ვერდერთან“ მატჩში (1:1) მსაჯმა ტორტენ კინჰიოფერმა 76 წუთზე ლუკა ტონის გოლი არ ჩაუთვალა და ისედაც უკმაყფილო რუმენიგეს სალაპარაკოდ საბაბი მისცა. „ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არბიტრები „ბაიერნს“ არ სწყალობენ. გოლი წესის დაცვით გავიდა, მაგრამ თამაშგარე მდგომარეობა მოიგონეს“ — განაცხადა კლუბის შეფმა, რომელმაც „ლევერკუზენთან“ შარშანდელი სექტემბრის მატჩიც გაიხსენა. მაშინ ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, გვერდითმა მსაჯმა კი რატომლაც ვერ დაინახა. „ბურთი ხაზის შიგნით ნახევარი მეტრით შეგორდა და ული ჰიონესმა ნამატჩევს ლაინსმენს ჰკითხა არჩათვლის მიზეზი. მან უპასუხა, რომ გოლი იყო, მაგრამ „ლევერკუზენის“ ფანების შიშით ჩათვლა ვერ გაბედა. თუ „ბაიერნის“ საწინააღმდეგოდ მოხდა რამე, მედია ჩუმადაა, ხოლო მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ თუ მიიღო გადაწყვეტილება, ერთი კვირა „ბაიერნის“ ლანძღვა-გინება არ წყდება“ — ბრძანა რუმენიგემ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჯანყი ლაციოში

**რომის** „ლაციოს“ მწვრთნელმა დელიო როსიმ კლუბის ფანებთან სპეციალური შეხვედრა მოაწყო, რათა ქომაგებსა და გუნდს შორის ბოლო დროს ძალიან დაძაბული ვითარება შედარებით განემუხტა და გულშემატკივრებისთვის ეთხოვა — მშვიდად მუშაობის საშუალება მოგვეცით და ბოლომდე მხარში დაგვიდექითო.

„ბიანკოჩელესტის“ რთული პერიოდი უდგას და აქტიური ფანების მოთმინების ფიალა გასულ უქმეებზე აივსო, როცა „ლაციომ“ აუტსაიდერ „ემპოლისთან“ 0:1 წააგო. ფანების უმრავლესობა კრისტიან ლიდესმას თამაშით არიან უკმაყოფილონი და ძირითადი შემადგენლობიდან მის ამოგდებას ითხოვენ.

დელიო როსი: „მოგიწოდებთ, „სტადიო ოლიმპიკოს“ ბოიკოტს ნუ გამოუცხადებთ და ზოგადად, ასეთ რადიკალურ ზომებს ნუ მიიღებთ. პირიქით, ყველანაირად მხარში დაგვიდექით. დამნაშავეს ფეხბურთელებს შორის ნუ ეძებთ. გადაწყვეტილებებს მე ვიღებ და ყველაფერი ჩემი ბრალია. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ გუნდი ყოველთვის 100 პროცენტით იხარჯება. „ემპოლისთან“ მარცხი ძალიან სამწუხარო იყო და იმედია, ქულებს ასე აღარ გავფლანგავთ“.

„ყოველთვის დიდი მხარდაჭერა გვქონდა და ამას მუდამ ვგრძნობდით და ვაფასებდით. ყველა გულშემატკივარს ვთხოვ, ზურგს ნუ შეგვაქცევთ. პასუხს მინდორზე კარგი თამაშით და წარმატებებით გაგცემთ“ — თქვა „ლაციოს“ ფორვარდმა ტომაზო როკიმ.

**კოკი კანდელაკი**


დელიო როსი

| XX ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| შალკე | : | ვოლფსბურგი |
| წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა | | |
| **დღეს** | | |
| დუისბურგი | : | შტუტგარტი |
| კარლსრუე | : | ლევერკუზენი |
| ვერდერი | : | ნიურნბერგი |
| კოტბუსი | : | დორტმუნდი |
| ჰერტა | : | არმინია |
| ჰანზა | : | აინტრახტი |
| **ხვალ** | | |
| ჰანოვერი | : | ბაიერნი |
| ჰამბურგი | : | ბოხუმი |

**უეფას** თასის მონაწილენი „ვერდერი“ და „ნიურნბერგი“ ერთმანეთს ბრემენში შეხვდებიან და თუ მასპინძლები მოიგებენ, „ბაიერნს“ ქულებით გაუტოლდებიან. „ვერდერმა“ ოთხშაბათს „ბრაგა“ 3:0 დაამარცხა, „ნიურნბერგმა“ კი ლისაბონში „ბენფიკასთან“ 0:1 წააგო. ნიურნბერგელებს მწვრთნელი შეუცვალეს. სამშაბათს კი ჰანს მაიერი მოხსნეს და მისი ადგილი თომას ფონ ჰესენმა დაიკავა, რომლის დებიუტიც ახალი გუნდით ბუნდესლიგაში დღეს შედგება. „ვერდერმა“ ბოლო 11

# გერმანია

# ისმაელი ბაიერნს ელის

მატჩიდან „ნიურნბერგს“ ცხრა მოუგო და, მეთექვსმეტადგილოსანი მეტოქის ძლევა ალბათ ამჯერადაც არ გაუჭირდება. „მუსიკოსებს“ დისკვალიფიცირებული ნალდო და ტიმ ბოროვსკი დააკლდებიან, ტორსტენ ფრინგსი კი კვლავაც ტრავმას იშუშებს. სტუმრებს დასჯილი ტომაშ გალაშეკი არ ეყოლებათ, ხოლო ანგელოს ხარისტეასი, მარეკ მინტალი და რობერტ ვიტეკი დაშავებულნი არიან.

ამ სეზონის აღმოჩენა „კარლსრუე“ „ლევერკუზენს“ დაუხვდება და გამარჯვების შემთხვევაში ცხრილში გადასწრებს. „ლევერკუზენი“ ოთხშაბათს სტამბოლში იყო და უეფას თასის მატჩში „გალათასარაის“ უგოლოდ დაუზავდა. „კარლსრუე“ უკვე ოთხი ტურია, არ დამარცხებულა და დღეს ძირითად შემადგენლობას მხოლოდ ერთი ფეხბურთელი დააკლდება. ფორვარდი კრისტიან ტიმი დისკვალიფიცირებულია. სტუმართაგან დაშავებულია კარტენ რამელოვი, დანარჩენები კი ჯანზე არიან. ბოლოადგილოსანი „დუისბურგი“ „შტუტგარტს“ მიიღებს, რომელმაც მეორე წრე ცუდად დაიწყო — ზედიზედ ორ წაგებულ მატჩში შვიდი გოლი გაუშვა. „შტუტგარტს“ დასჯილი რიკარდო ოსორიო და მატიე დელპიერი ვერ ადეხმარებიან.

სტუმრად ყველაზე მეტი გოლის (30) გამშვები „არმინია“ ბერლინში „ჰერტას“ ეწვევა და დისკვალიფიკაციის გამო რუდიგერ კაუფი და იორგ ბიომე დააკლდება. მასპინძლებს ტრავმირებული ჰყავთ ლუისიო და ვალერი დომოვჩისკი. „ჰერტამ“ წინა ტურში შტუტგარტში 3:1 მარჯვა, ხოლო „არმინიამ“ მეორე წრეში ორივე თამაში წააგო.

ფრანკფურტის „აინტრახტი“ ახალი „ვარსკლავით“, მარტინ ფენინით როსტოკში „ჰანზას“ ჩააკითხავს. ხსენებულმა ჩეხმა ორ მატჩში ოთხი გოლი მიითვალა და დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება. „აინტრახტს“ უკვე ხუთი ტურია, არ წაუგია, ბოლო ორ გასვლით შეხვედრაში ისე იმარჯვა, რომ გოლიც არ გაუშვა.

„არმინიას“ შემდეგ ყველაზე „დახვრეტილი“ დაცვის ხაზი „დორტმუნდს“ ჰყავს — 36 გოლი 19 მატჩში, რაც ბოლო 22 სეზონში გუნდის უცუდესი შედეგია. „დორტმუნდის“ დღევანდელი მეტოქე „კოტბუსია“, რომელიც ბუნდესლიგაში დასარჩენად იბრძვის და დაცვაში ასევე ცუდად აქვს საქმე, რაკი 33 გოლის გაშვება მოასწრო. „დორტმუნდსაც“ და „კოტბუსსაც“ გასულ ორ ტურში მოწინააღმდეგეებმა ექვსექვსი გაუტანეს. „შავ-ყვითლებს“ დისკვალიფიცირებული დედე ვერ დაეხმარება, მეკარე რომან ვაიდენფელერი, იაკუკ ბლაშჩიკოვსკი და დიეგო კლიმოვიჩი კი ტრავმებს იშუშებენ.

ამ ზამთარს „ჰანოვერში“ გადასული ვალერიან ისმაელი თავის ყოფილ გუნდს, „ბაიერნს“ ხვალ შეხვდება. ხუთი სეზონია, „ჰანოვერს“ მიუნხენელებისთვის შინ არ მოუგია, თუმც ამ ხუთიდან მხოლოდ ორჯერ დამარცხდა. „ბაიერნს“, რომელმაც ხუთშაბათს „აბერდინთან“ სტუმრად 2:2 ითამაშა, ტრავმირებული ფრანკ რიბერი დააკლდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | 1:1 | | | | 0:0 | 3:0 | 2:1 | | | | | 3:0 | | 3:0 | 5:0 | 0:0 | 19 | 11 | 7 | 1 | 34:10 | 40 | 5 | 4 | 0 | 18:3 | 19 | 6 | 3 | 1 | 16:7 | 21 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | | 5:2 | 2:1 | 4:0 | 2:1 | | | 4:1 | 1:2 | 3:2 | | 1:0 | 8:1 | | | | 19 | 11 | 4 | 4 | 44:27 | 37 | 8 | 0 | 2 | 30:14 | 24 | 3 | 4 | 2 | 14:13 | 13 |
| 3 | შალკე | | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 0:2 | | | | 4:1 | 1:0 | 1:0 | 4:1 | | 3:0 | 2:1 | | | 19 | 9 | 8 | 2 | 33:20 | 35 | 6 | 3 | 1 | 18:8 | 21 | 3 | 5 | 1 | 15:12 | 14 |
| 4 | ლევერკუზენი | 0:1 | | | | 1:1 | 3:0 | | | | | 2:0 | | 2:2 | 3:0 | 4:0 | | 0:0 | 4:1 | 19 | 10 | 4 | 5 | 36:19 | 34 | 5 | 3 | 1 | 19:5 | 18 | 5 | 1 | 4 | 17:14 | 16 |
| 5 | ჰამბურგი | 1:1 | | | 1:0 | | | | 1:1 | 2:2 | 4:1 | | 2:1 | | 2:0 | | 1:0 | 0:0 | | 19 | 9 | 7 | 3 | 26:15 | 34 | 5 | 4 | 0 | 14:6 | 19 | 4 | 3 | 3 | 12:9 | 15 |
| 6 | კარლსრუე | 1:4 | | | | 1:1 | | | 1:2 | | 1:0 | | 2:1 | 3:1 | | 0:0 | 2:0 | | 1:0 | 19 | 9 | 5 | 5 | 23:23 | 32 | 5 | 2 | 2 | 12:9 | 17 | 4 | 3 | 3 | 11:14 | 15 |
| 7 | აინტრახტი | | | 2:2 | 2:1 | 2:1 | 0:1 | | 0:0 | | 1:4 | | 1:0 | | 1:0 | 2:1 | | | | 19 | 7 | 8 | 4 | 24:24 | 29 | 5 | 2 | 2 | 11:10 | 17 | 2 | 6 | 2 | 13:14 | 12 |
| 8 | ჰანოვერი | | 4:3 | 2:3 | 0:3 | 0:1 | 2:2 | | | 2:2 | | 3:2 | | 2:1 | | | | | 2:1 | 19 | 8 | 5 | 6 | 30:31 | 29 | 4 | 2 | 3 | 17:18 | 14 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 15 |
| 9 | ვოლფსბურგი | | 1:1 | 1:1 | 1:2 | | 1:2 | 2:2 | | | | | | 4:0 | 1:0 | 1:3 | 3:1 | | 2:1 | 19 | 7 | 5 | 7 | 33:31 | 26 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 | 3 | 2 | 4 | 16:18 | 11 |
| 10 | შტუტგარტი | 3:1 | | 2:2 | 1:0 | | | | 0:2 | 3:1 | | 1:0 | 1:3 | 1:2 | | | | 3:0 | 1:0 | 19 | 8 | 1 | 10 | 26:32 | 25 | 6 | 1 | 3 | 16:11 | 19 | 2 | 0 | 7 | 10:21 | 6 |
| 11 | ბოხუმი | 1:2 | 2:2 | | | 2:1 | 2:2 | 0:0 | | 5:3 | | | | | | 3:0 | 3:3 | 3:3 | | 19 | 6 | 5 | 8 | 30:31 | 23 | 3 | 5 | 1 | 21:16 | 14 | 3 | 0 | 7 | 9:15 | 9 |
| 12 | ჰერტა | 0:0 | | | 0:3 | | | 0:3 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 2:0 | | 3:2 | 1:3 | | | 0:0 | | 19 | 7 | 2 | 10 | 22:28 | 23 | 5 | 2 | 3 | 12:13 | 17 | 2 | 0 | 7 | 10:15 | 6 |
| 15286 | სოშო-კაენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15287 | ლე მანი-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15289 | სტ.ეტიენი-ნანსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | ლანსი-ნიცა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15292 | მარსელი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | ლილი-რენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | ლორიანი-სტრასბური | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15295 | ოსერი-ტულუზი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | მეცი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | ნანტი-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15309 | ბრიუგე-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ბეერსხოტი-ვარეგემი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | მეხელენი-ლოკერენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | მონსი-შარლერუა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | რუზელარე-ბრიუსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | სტ.ტრუიდენი-დენდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | ვესტერლო-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | გრააფსხაპი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ტილბურგი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15327 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | როდა-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15330 | უტრეხტი-ვენლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15331 | ფეიენოორდი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15334 | გრონინგენი-ალკმაარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15344 | იგლზი-დენ ჰააგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15345 | ლეიშოეში-ბოავიშტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15347 | ნასიონალი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15348 | ნავალი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15350 | ფერეირა-აკადემიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15351 | ბრაგა-სეტუბალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15354 | ლეირია-ბელენენსეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15371 | კასიმპასა-დენიზლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15375 | კონია-გალატასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15377 | კაისერი-გაზიანთეფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15378 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15379 | ბურსა-ისტანბული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15380 | ოფთასპორი-სივასპორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15381 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15382 | ბეშიქთაში-ანკარა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15730 | ოფენბახი-ალემანია | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16020 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.55 | 2.20 |
| 16022 | იფსვიჩი-ბლეკპული | 1.24 | 3.60 |
| 16023 | ლესტერი-ნორვიჩი | 1.70 | 1.95 |
| 16025 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.70 | 1.95 |
| 16026 | ჰალი-კოლჩესტერი | 1.25 | 3.40 |
| 16116 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.38 | 2.65 |
| 16117 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.65 | 2.05 |
| 16118 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 4.20 | 1.15 |
| 16122 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.40 | 2.55 |
| 16123 | გრეტნა-მოზერუელი | 3.60 | 1.24 |
| 16151 | სიონი-სტ გალენი | 1.24 | 3.60 |
| 16152 | თუნი-ლუცერნი | 1.62 | 2.05 |
| 16153 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.70 | 1.95 |
| 16154 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2.10 | 1.60 |
| 16155 | ციურიხი-ბაზელი | 1.85 | 1.80 |
| 16160 | ჰანოვერი-ბაიერნი | 3.30 | 1.25 |
| 16162 | კარლსრუე-ლევერკუზენი | 1.80 | 1.80 |
| 16163 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.11 | 5.70 |
| 16165 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.12 | 4.60 |
| 16167 | კოტბუსი -დორტმუნდი | 1.95 | 1.65 |
| 16168 | ჰერტა-არმინია | 1.17 | 4.10 |
| 16169 | ჰანზა-აინტრახტი | 1.85 | 1.80 |
| 16171 | დუისბურგი-შტუტგარტი | 2.10 | 1.60 |
| 16174 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.34 | 2.80 |
| 16175 | ფიურტი-კაიზერსლაუტერნი | 1.24 | 3.60 |
| 16176 | ფრაიბურგი-აუგსბურგი | 1.34 | 2.80 |
| 16179 | მიუნხენი 1860-ჰოფენჰაიმი | 1.62 | 2.05 |
| 16181 | პადერბორნი-ოსნაბრიუკი | 1.38 | 2.65 |
| 16194 | ტიროლი-შტურმი | 1.95 | 1.65 |
| 16196 | ლინცერი-რიდი | 1.30 | 3.00 |
| 16197 | ავსტრია კერნტენი-რაპიდი | 2.10 | 1.60 |
| 16207 | ფიორენტინა-კატანია | 1.10 | 5.50 |
| 16209 | ნაპოლი-ემპოლი | 1.24 | 3.60 |
| 16212 | პარმა-მილანი | 2.90 | 1.32 |
| 16214 | იუვენტუსი-რომა | 1.55 | 2.20 |
| 16215 | ჯენოა-სამპდორია | 1.80 | 1.85 |
| 16216 | სიენა-ტორინო | 1.52 | 2.20 |
| 16217 | რეჯინა-უდინეზე | 1.80 | 1.85 |
| 16218 | ლაციო-ატალანტა | 1.40 | 2.55 |
| 16219 | პალერმო-კალიარი | 1.30 | 3.00 |
| 16232 | პიაჩენცა-ტრევიზო | 1.45 | 2.45 |
| 16233 | ბოლონია-ტრიესტინა | 1.11 | 5.70 |
| 16234 | სპეცია-ასკოლი | 1.80 | 1.80 |
| 16235 | ლეჩე-აველინო | 1.11 | 5.70 |
| 16236 | რავენა-ბარი | 1.70 | 1.95 |
| 16237 | მესინა-ბრეშა | 1.95 | 1.70 |
| 16238 | ვიჩენცა-ჩეზენა | 1.24 | 3.60 |
| 16239 | კიევო-ფროზინონე | 1.14 | 4.70 |
| 16240 | რიმინი-გროსეტო | 1.24 | 3.60 |
| 16241 | პიზა-მანტოვა | 1.40 | 2.55 |
| 16242 | ალბინოლეფე-მოდენა | 1.32 | 3.00 |
| 16261 | სარაგოსა-ბარსელონა | 2.30 | 1.45 |
| 16263 | ლევანტე-ოსასუნა | 1.95 | 1.65 |
| 16264 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.17 | 4.10 |
| 16265 | ვილიარეალი-რასინგი | 1.32 | 3.00 |
| 16266 | ალმერია-მურსია | 1.34 | 2.80 |
| 16268 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1.55 | 2.20 |
| 16269 | ბეტისი-რეალი | 3.30 | 1.25 |
| 16271 | ხეტაფე-ვალენსია | 1.70 | 1.95 |
| 16272 | უელვა-დეპორტივო | 1.55 | 2.20 |
| 16273 | ესპანიოლი-სევილია | 1.80 | 1.85 |
| 16274 | ნუმანსია-ალბასეტე | 1.24 | 3.60 |
| 16275 | ჰერკულესი-ტენერიფე | 1.58 | 2.10 |
| 16276 | გრანადა -სალამანკა | 1.50 | 2.30 |
| 16277 | კადისი-ალავესი | 1.40 | 2.55 |
| 16278 | სევილია ბ-კორდობა | 1.50 | 2.30 |
| 16279 | მალაგა -კასტელონი | 1.38 | 2.65 |
| 16280 | ტარაგონა-ეიბარი | 1.52 | 2.20 |
| 16281 | სელტა-ეხიდო | 1.23 | 3.60 |
| 16282 | სოსიედადი-ლას პალმასი | 1.32 | 3.00 |
| 16283 | ფეროლი-ელჩე | 1.82 | 1.82 |
| 16284 | სპორტინგი-სერესი | 1.25 | 3.40 |
| 16285 | მონაკო-ბორდო | 1.70 | 1.95 |
| 16286 | სოშო-კაენი | 1.50 | 2.30 |
| 16287 | ლე მანი-ლიონი | 2.45 | 1.40 |
| 16289 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1.62 | 2.05 |
| 16291 | ლანსი-ნიცა | 1.45 | 2.45 |
| 16292 | მარსელი-პსჟ | 1.45 | 2.45 |
| 16293 | ლილი-რენი | 1.40 | 2.55 |
| 16294 | ლორიანი-სტრასბური | 1.38 | 2.65 |
| 16295 | ოსერი-ტულუზი | 1.38 | 2.65 |
| 16296 | მეცი-ვალენსიენი | 1.80 | 1.80 |
| 16301 | ნანტი-ბასტია | 1.38 | 2.65 |
| 16309 | ბრიუგე-სტანდარდი | 1.45 | 2.45 |
| 16311 | ბეერსხოტი-ვარეგემი | 1.17 | 4.10 |
| 16312 | მეხელენი-ლოკერენი | 1.62 | 2.05 |
| 16313 | მონსი-შარლერუა | 1.70 | 1.95 |
| 16314 | რუზელარე-ბრიუსელი | 1.24 | 3.60 |
| 16315 | სტ.ტრუიდენი-დენდერი | 1.40 | 2.55 |
| 16316 | ვესტერლო-გენკი | 1.62 | 2.05 |
| 16324 | გრააფსხაპი-ბრედა | 2.05 | 1.65 |
| 16325 | ტილბურგი-პსვ | 4.20 | 1.15 |
| 16327 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 3.60 | 1.23 |
| 16328 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 1.17 | 4.10 |
| 16329 | როდა-ტვენტე | 1.62 | 2.05 |
| 16330 | უტრეხტი-ვენლო | 1.10 | 5.50 |
| 16331 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1.10 | 5.50 |
| 16334 | გრონინგენი-ალკმაარი | 1.40 | 2.55 |
| 16343 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 2.45 | 1.40 |
| 16344 | იგლზი-დენ ჰააგი | 1.55 | 2.20 |
| 16345 | ლეიშოეში-ბოავიშტა | 1.62 | 2.05 |
| 16347 | ნასიონალი-გიმარაეში | 1.70 | 1.95 |
| 16348 | ნავალი-ბენფიკა | 3.60 | 1.23 |
| 16350 | ფერეირა-აკადემიკა | 1.50 | 2.30 |
| 16351 | ბრაგა-სეტუბალი | 1.38 | 2.65 |
| 16354 | ლეირია-ბელენენსეში | 2.10 | 1.60 |
| 16371 | კასიმპასა-დენიზლი | 2.40 | 1.45 |
| 16375 | კონია-გალატასარაი | 2.40 | 1.45 |
| 16377 | კაისერი-გაზიანთეფი | 1.17 | 4.10 |
| 16378 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 1.65 | 2.05 |
| 16379 | ბურსა-ისტანბული | 1.34 | 2.80 |
| 16380 | ოფთასპორი-სივასპორი | 2.05 | 1.65 |
| 16381 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 1.80 | 1.85 |
| 16382 | ბეშიქთაში-ანკარა | 1.10 | 5.50 |
| 16730 | ოფენბახი-ალემანია | 1.80 | 1.85 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17020 | ბრისტოლი-კრისტალ პალასი | 1.85 | 1.95 |
| 17022 | იფსვიჩი-ბლეკპული | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ლესტერი-ნორვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17025 | ჩარლტონი-უოტფორდი | 1.85 | 1.95 |
| 17026 | ჰალი-კოლჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17116 | ჰიბერნიანი-აბერდინი | 1.85 | 1.95 |
| 17117 | ინვერნესი-დანდი იუნაიტედი | 1.85 | 1.95 |
| 17118 | კილმარნოკი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17120 | სელტიკი-ჰართსი | 1.85 | 1.95 |
| 17122 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.85 | 1.95 |
| 17123 | გრეტნა-მოზერუელი | 1.85 | 1.95 |
| 17151 | სიონი-სტ გალენი | 1.85 | 1.95 |
| 17152 | თუნი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17153 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17154 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 1.85 | 1.95 |
| 17155 | ციურიხი-ბაზელი | 1.85 | 1.95 |
| 17160 | ჰანოვერი-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17162 | კარლსრუე-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17163 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.85 | 1.95 |
| 17165 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1.85 | 1.95 |
| 17167 | კოტბუსი -დორტმუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17168 | ჰერტა-არმინია | 1.85 | 1.95 |
| 17169 | ჰანზა-აინტრახტი | 1.85 | 1.95 |
| 17171 | დუისბურგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 17174 | მიონხენგლადბახი-მაინცი | 1.85 | 1.95 |
| 17175 | ფიურტი-კაიზერსლაუტერნი | 1.85 | 1.95 |
| 17176 | ფრაიბურგი-აუგსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 17179 | მიუნხენი 1860-ჰოფენჰაიმი | 1.85 | 1.95 |
| 17181 | პადერბორნი-ოსნაბრიუკი | 1.85 | 1.95 |
| 17191 | ავსტრია-ალტახი | 1.85 | 1.95 |
| 17194 | ტიროლი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 17196 | ლინცერი-რიდი | 1.85 | 1.95 |
| 17197 | ავსტრია კერნტენი-რაპიდი | 1.85 | 1.95 |
| 17207 | ფიორენტინა-კატანია | 1.85 | 1.95 |
| 17209 | ნაპოლი-ემპოლი | 1.85 | 1.95 |
| 17210 | ინტერი-ლივორნო | 1.85 | 1.95 |
| 17212 | პარმა-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17214 | იუვენტუსი-რომა | 1.85 | 1.95 |
| 17215 | ჯენოა-სამპდორია | 1.85 | 1.95 |
| 17216 | სიენა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 17217 | რეჯინა-უდინეზე | 1.85 | 1.95 |
| 17218 | ლაციო-ატალანტა | 1.85 | 1.95 |
| 17219 | პალერმო-კალიარი | 1.85 | 1.95 |
| 17232 | პიაჩენცა-ტრევიზო | 1.85 | 1.95 |
| 17233 | ბოლონია-ტრიესტინა | 1.85 | 1.95 |
| 17234 | სპეცია-ასკოლი | 1.85 | 1.95 |
| 17235 | ლეჩე-აველინო | 1.85 | 1.95 |
| 17236 | რავენა-ბარი | 1.85 | 1.95 |
| 17237 | მესინა-ბრეშა | 1.85 | 1.95 |
| 17238 | ვიჩენცა-ჩეზენა | 1.85 | 1.95 |
| 17239 | კიევო-ფროზინონე | 1.85 | 1.95 |
| 17240 | რიმინი-გროსეტო | 1.85 | 1.95 |
| 17241 | პიზა-მანტოვა | 1.85 | 1.95 |
| 17242 | ალბინოლეფე-მოდენა | 1.85 | 1.95 |
| 17261 | სარაგოსა-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17263 | ლევანტე-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17264 | ატლეტიკო-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17265 | ვილიარეალი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17266 | ალმერია-მურსია | 1.85 | 1.95 |
| 17268 | ვალიადოლიდი-მალიორკა | 1.85 | 1.95 |
| 17269 | ბეტისი-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17271 | ხეტაფე-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17272 | უელვა-დეპორტივო | 1.85 | 1.95 |
| 17273 | ესპანიოლი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17274 | ნუმანსია-ალბასეტე | 1.85 | 1.95 |
| 17275 | ჰერკულესი-ტენერიფე | 1.85 | 1.95 |
| 17276 | გრანადა -სალამანკა | 1.85 | 1.95 |
| 17277 | კადისი-ალავესი | 1.85 | 1.95 |
| 17278 | სევილია ბ-კორდობა | 1.85 | 1.95 |
| 17279 | მალაგა -კასტელონი | 1.85 | 1.95 |
| 17280 | ტარაგონა-ეიბარი | 1.85 | 1.95 |
| 17281 | სელტა-ეხიდო | 1.85 | 1.95 |
| 17282 | სოსიედადი-ლას პალმასი | 1.85 | 1.95 |
| 17283 | ფეროლი-ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 17284 | სპორტინგი-სერესი | 1.85 | 1.95 |
| 17285 | მონაკო-ბორდო | 1.85 | 1.95 |
| 17286 | სოშო-კაენი | 1.85 | 1.95 |
| 17287 | ლე მანი-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17289 | სტ.ეტიენი-ნანსი | 1.85 | 1.95 |
| 17291 | ლანსი-ნიცა | 1.85 | 1.95 |
| 17292 | მარსელი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 17293 | ლილი-რენი | 1.85 | 1.95 |
| 17294 | ლორიანი-სტრასბური | 1.85 | 1.95 |
| 17295 | ოსერი-ტულუზი | 1.85 | 1.95 |
| 17296 | მეცი-ვალენსიენი | 1.85 | 1.95 |
| 17301 | ნანტი-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17309 | ბრიუგე-სტანდარდი | 1.85 | 1.95 |
| 17311 | ბეერსხოტი-ვარეგემი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | მეხელენი-ლოკერენი | 1.85 | 1.95 |
| 17313 | მონსი-შარლერუა | 1.85 | 1.95 |
| 17314 | რუზელარე-ბრიუსელი | 1.85 | 1.95 |
| 17315 | სტ.ტრუიდენი-დენდერი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | ვესტერლო-გენკი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | ანდერლეხტი-მუსკრონი | 1.85 | 1.95 |
| 17324 | გრააფსხაპი-ბრედა | 1.85 | 1.95 |
| 17325 | ტილბურგი-პსვ | 1.85 | 1.95 |
| 17327 | ჰერაკლესი-ჰერენვენი | 1.85 | 1.95 |
| 17328 | ნაიმეგენი-ექსელსიორი | 1.85 | 1.95 |
| 17329 | როდა-ტვენტე | 1.85 | 1.95 |
| 17330 | უტრეხტი-ვენლო | 1.85 | 1.95 |
| 17331 | ფეიენოორდი-ვიტესი | 1.85 | 1.95 |
| 17334 | გრონინგენი-ალკმაარი | 1.85 | 1.95 |
| 17343 | ჰაარლემი-ვოლენდამი | 1.85 | 1.95 |
| 17344 | იგლზი-დენ ჰააგი | 1.85 | 1.95 |
| 17345 | ლეიშოეში-ბოავიშტა | 1.85 | 1.95 |
| 17347 | ნასიონალი-გიმარაეში | 1.85 | 1.95 |
| 17348 | ნავალი-ბენფიკა | 1.85 | 1.95 |
| 17350 | ფერეირა-აკადემიკა | 1.85 | 1.95 |
| 17351 | ბრაგა-სეტუბალი | 1.85 | 1.95 |
| 17352 | სპორტინგი-ამადორა | 1.85 | 1.95 |
| 17354 | ლეირია-ბელენენსეში | 1.85 | 1.95 |
| 17371 | კასიმპასა-დენიზლი | 1.85 | 1.95 |
| 17375 | კონია-გალატასარაი | 1.85 | 1.95 |
| 17377 | კაისერი-გაზიანთეფი | 1.85 | 1.95 |
| 17378 | მანისა-გენჩლერბირლიგი | 1.85 | 1.95 |
| 17379 | ბურსა-ისტანბული | 1.85 | 1.95 |
| 17380 | ოფთასპორი-სივასპორი | 1.85 | 1.95 |
| 17381 | ანკარაგიუჯიუ-ტრაბზონი | 1.85 | 1.95 |
| 17382 | ბეშიქთაში-ანკარა | 1.85 | 1.95 |
| 17730 | ოფენბახი-ალემანია | 1.85 | 1.95 |



სტეფან ზიანი, ლორენ დალამბერტი, ილია მაისურაძე, ჯექსონ რიჩარდსონი, სტეფან რიშარი

# ახალი კოლექტივი

## დესაი, ზიანი, დუიე, დალამბერტი, რიჩარდსონი და... ილო მაისურაძე

*საქართველოს ნაკრების ყოფილი მორაგბე ილია მაისურაძე, რომელმაც სარაგბო კარიერა გასული მსოფლიოს თასის შემდეგ დაასრულა, ქველმოქმედებას იწყებს. ილო მაისურაძე ახლა საქართველოს რაგბის კავშირში ბავშვთა რაგბის კურატორობს, პარალელურად კი, ფრანგი მეგობრების დახმარებით, ხელმოკლე ოჯახების და მიუსაფარი ბავშვების მოვლა-პატრონობას კისრულობს. ეს პროგრამა საქართველოში მალე ამოქმედდება. ფონდის, რომელსაც „კოლექტივი" ჰქვია, სათავო ოფისი საფრანგეთშია, რომელსაც იქაური ცნობილი ქველმოქმედი სტეფან რიშარი ხელმძღვანელობს. ფონდი კი უცნობილესმა სპორტსმენებმა მარსელ დესაიმ, ძიუდოისტმა დევიდ დუიემ, ფრენბურთელმა ლორენ დალამბერტიმ და ხელბურთში მსოფლიოს და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლეგენდარულმა ჯექსონ რიჩარდსონმა დააარსეს.*

*საფრანგეთში დავუკავშირდით ფონდის ხელმძღვანელს* ***სტეფან რიშარს*** *და დაწვრილებით ვესაუბრეთ*

— საფრანგეთში ძალიან ბევრი მიუსაფარი ბავშვია, რომლებსაც სხვა არაფერი დარჩენიათ, რომ მთელი დღე ქუჩაში იყვნენ და კრიმინალებს დაუახლოვდნენ. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, ფონდი გაგვეკეთებინა და ამ ბავშვებზე გვეზრუნა. ამ პროგრამით ჩვენ შეგვყავს ეს ბავშვები ძიუდოზე, ხელბურთზე, ფეხბურთზე და რაგბიზე. ვიღებთ ვალდებულებას, მათ ჩაცმა-დახურვაზე, კვებასა და კონტროლზე, რომ ისევ ქუჩაში არ აღმოჩნდნენ. თუ მათგან ყველა ვერ გამოვა სპორტსმენი, ქუჩას მაინც მოსწყდებიან და ცხოვრება არ აერევათ.

— როგორც ვიცით, ამ პროგრამის საქართველოში ამოქმედება ილია მაისურაძემ გთხოვათ...

— ილიას შარშან შევხვდი და იგი მომიყვა, რომ საქართველოში ძირითად ფენას უჭირს და მიუსაფარი ბავშვების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ილიამ მთხოვა, პროგრამა საქართველოშიც განგვეხორციელებინა. ჩვენც დავთანხმდით, რადგან ილიას დიდი ავტორიტეტი აქვს და მას ყველანაირად ვენდობით. თქვენთვის არ უთქვამს, რომ 2007 წელს ქალაქ ნანტის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს?

— არა, არ უთქვამს...

— ასეთი თავმდაბალი და ალალი ადამიანია. რვა წელი თამაშობდა „ნანტის" სარაგბო კლუბში და კაპიტანიც იყო. ნანტში ილიას უდიდეს პატივს სცემენ.

— მოდით, ისევ ფონდის საქმიანობას დავუბრუნდეთ. პროგრამები შემოწირულობებით ხორციელდება?

— კერძო სტრუქტურები გვმფარველობენ. ბანკები, მსხვილი სუპერმარკეტები, კერძო პირები და სპორტსმენები. მათ იციან, რომ ქველმოქმედება ყველაზე კარგი რეკლამაა და ტელევიზიებში ძვირადღირებული სარეკლამო რგოლების ტრიალს, ფულის ხარჯვა ქველმოქმედებაში ურჩევნიათ. რაც მთავარია, ჩვენი ფინანსური საქმიანობა სრულიად გამჭვირვალეა და დონორებს სრულყოფილი ინფორმაციას ვაწვდით. თანაც, ჩვენი მხარდამჭერი იუნესკოა, ასე რომ, საკმაოდ სანდო და ეფექტური ფონდი გვაქვს.

— საქართველოში შეიძლება გაგიჭირდეთ დონორების მოძიება. ამაზე უკვე იფიქრეთ?

— ფული ჯერ გვაქვს. რაც საქართველოში პროგრამისთვის დაგვჭირდება, ეს ინფრასტრუქტურაა. ამ მხრივ, სახელმწიფოს დახმარების გარეშე არაფერი გამოვა — პროგრამა ერთჯერადი იქნება და ვერ განხორციელდება. ჩვენ გვირჩევნია, ვითანამშრომლოთ საქართველოში სპორტის ხელმძღვანელობასთან და ქალაქების მერიებთან, რადგან ფაქტობრივად, მათ განკარგულებაშია ინფრასტრუქტურა. პირველი ეტაპისთვის კი თანხა მოძიებული გვაქვს, ნოემბერში, როდესაც სარაგბო მსოფლიოს თასი მიმდინარეობდა, ნანტში საქველმოქმედო საფეხბურთო მატჩი ჩავატარეთ. მარსელ დესაის, სტეფან ზიანის, ჯექსონ რიჩარდსონის, ლორენ დალამბერტის და სხვა ცნობილი სპორტსმენების გუნდი „კოლექტივს" ეთამაშა და ამ მატჩიდან შემოსული თანხა საქართველოში პროგრამის განხორციელებას მოხმარდება, მაისში კი ცნობილი მუსიკოსები კონცერტს გამართავენ და აქედან შემოსული ფულიც დაემატება. სხვათა შორის, ნანტის საქველმოქმედო მატჩში ილია მაისურაძეს უნდა ეთამაშა, მაგრამ მსოფლიოს თასის გამო, ცხადია, ვერ ჩამოვიდა და მისი 6-ნომრიანი მაისურა ჩვენ ჩავუტანეთ ლიონში.

— პროგრამას მარტო თბილისში განახორციელებთ თუ რეგიონებშიც გახვალთ?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, რამდენად ეფექტური იქნება ჩვენი და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობა. ილიამ ისიც კი მითხრა, პროექტი კონფლიქტურ რეგიონებში, აფხაზეთსა და ოსეთშიც განვახორციელოთო. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, თანაც ამაში იუნესკოც დაგვეხმარება. მთავარია, ილიამ გადაწყვიტოს, რა და როგორ და, მთავრობაც გვერდით დაგვიდგეს.

**ბაჩო სვანიძე**

# ჯოკოვიჩი ვინ ოხერია, სიმონ?!

**კაცები**
მარსელი. საფრანგეთი. ჰარდი
საპრიზო 534 000 ევრო

**მეორე წრე**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (1, სერბეთი) — ჟილ სიმონი (საფრანგეთი) 6:2 6:7 6:3; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 7:6 7:6; **მარკოს ბაღდატისი** (6, კვიპროსი) — ივო კარლოვიჩი (ხორვატია) 6:4 6:4; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:3 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — რიშარ გასკე (2, საფრანგეთი) 4:6 6:3 6:2

**კაცები**
დელრეი ბიჩი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 436 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ჯეიმს ბლეიკი** (1, აშშ) — პოლ კაპდევილი (ჩილე) 6:1 6:4; **იგორ კუნიცინი** (რუსეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 6:3; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — მაიკლ რასელი (აშშ) 7:5 4:6 6:2; **მარდი ფიში** (8, აშშ) — სალვადორ ნავარო (ესპანეთი) 2:6 7:5 6:3; **ვინსენტ სპადეა** (6, აშშ) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) 7:5 4:6 6:3; **სემ ქუერეი** (3, აშშ) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:4 5:7 6:4; **კეი ნისიკორი** (იაპონია) — ამირ დელიჩი (აშშ) 6:7 6:4 6:2; **ბობი რეინოლდსი** (აშშ) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 7:5 2:6 7:6

**კაცები**
კოსტა დე საიუპე. ბრაზილია
თიხნარი
საპრიზო 485 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ედუარდო შვანკი** (არგენტინა) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრალია) 6:2 6:2; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — სებასტიან დეკუდი (არგენტინა) 6:1 6:2; **ფილიპო ვოლანდრი** (5, იტალია) — გილერმო კორია (არგენტინა) 6:1 6:2; **ნიკოლას ალმაგრო** (2, ესპანეთი) — ბორის პაშანსკი (სერბეთი) 6:2 6:3

**ქალები**
ანტვერპენი. ბელგია
ჰარდი. (დარბაზი)
საპრიზო 600 000 დოლარი

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ცვეტანა პირონკოვა (ბულგარეთი) 6:7 6:3 6:1; **ტიმეა ბაჩინსკი** (შვეიცარია) — ჯულია დიტი (აშშ) 7:5 6:4; **სოფია არვიდსონი** (შვედეთი) — ანა ჩაკვეტაძე (2, რუსეთი) 6:3 7:5

**მარსელის** ტურნირზე პირველ წრეში მცირე მოულოდნელობაც კი არ მომხდარა და არც მერე მოელოდა სენსაციას ვინმე, მაგრამ ხუთშაბათს საღამოს ფრანგული პორტიდან ერთაბაშად დაიფრინეს პირველ-მეორე ნომრები — ნოვაკ ჯოკოვიჩი და რიშარ გასკე.

განსაკუთრებით მოულოდნელი მაინც სერბის მარცხი იყო — ავსტრალიის ღია პირველობის ახალგამომცხვარი ჩემპიონი სეზონის სტარტზე იმდენად სრულყოფილ ჩოგბურთს თამაშობდა, რომ მისგან წაბორძიკებას ნაღდად არავინ ელოდა. თუმც მარსელის მოქმედ ჩემპიონ ჟილ სიმონს სხვა გეგმები ჰქონდა. ფრანგმა თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა და შეხვედრა თავისი სცენარითაც წარმართა. მეორე სეტში ჯოკოვიჩმა კი შეძლო სიტუაციის გათანაბრება და ტაიბრეიკზე ძალიან დაძაბულ ბრძოლაში იხეირა კიდეც, მაგრამ გადამწყვეტ პარტიაში ამ დონეზე თამაში ველარ შეძლო და... ნოვაკმა განსაკუთრებით ცუდად მიღებაზე ითამაშა, რადგანაც ექვსი ბრეიკ-პოინტიდან ერთიც ვერ გამოიყენა.

გასკე კი ზედიზედ მეორე წელია, რობინ სოდერლინგთან აგებს. ფრანგთა პირველმა მეჩოგნემ შარშან მეოთხედფინალში წააგო შვედთან, ახლა კი საუკეთესო რვაში მოხვედრაც ვერ შეძლო. ჯოკოვიჩისგან განსხვავებით, გალმა კარგად დაიწყო და დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მერე ჩაფლავდა და ორი სეტი ძალიან უკბილოდ დათმო.

აღვნიშნოთ შარშანდელ ფინალისტ მარკოს ბაღდატისის გამარჯვებაც, რომელმაც იოლად მოუგო ივო კარლოვიჩს და თან აყლაყუდა ხორვატი მოწოდებაშიც დაჯაბნა — მეტოქის 14-ის წილ კვიპროსელმა 15-ჯერ ჩააეისა. ბაღდატისს მეოთხედფინალში სერიოზული გამოცდა ელის მიხაილ იუჟნის სახით.

ამერიკულ დელრეი ბიჩში კი, როგორც იქნა, წვიმამ გადაიღო — მერე კი ისე გამოვიდა, რომ მასპინძელთათვის გამოიდარა, რადგანაც 8 მეოთხედფინალისტიდან 6 იანკია.

ბრაზილიაში წააგო გილერმო კორიამ, რომელიც ჯერჯერობით აშკარად არ არის მზად მაღალ დონეზე სათამაშოდ. არგენტინელმა პირველ წრეში კვალიფიკაციიდან მოხვედრილ ფრანჩესკო ალდის კი აჯობა, მაგრამ მეტ-ნაკლებად ხეირიანმა მეტოქემ ძვალ-რბილი გაუერთიანა — ფილიპო ვოლანდრიმ პატაგონიელს მხოლოდ სამი გეიმი აალებინა.

ანა ჩაკვეტაძე კი ეტყობა, რამდენიმე დღის წინ პარიზში მოგებულ ტიტულს დიდ ხანს აღნიშნავდა და ამის გამო ვერ მოახერხა ტონუსში დროულად ჩადგომა, თორემ მისი დონის მეჩოგნე სოფია არვიდსონთან არ უნდა აგებდეს. ჩაკვეტაძეს კინაღამ ჟუსტინ ენინიც მიაყოლეს, რომელმაც საკუთარი ტრიბუნები ლამის შოკში ჩააგდო ცვეტანა პირონკოვასთან პირველ სეტში ნაჩვენები უხეირო თამაშით, მაგრამ სანამ მაყურებელი სტვენას დაუწყებდა, გონზე მოსვლა მოასწრო და მომდევნო ორ პარტიაში ბულგარელს მისი ადგილი მიუჩინა.

**კახა ლომაშვილი**


თქვენი ინტერვიუ

**ტიმ ლეინთან**

**საქართველოს რაგბის ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

*რუბრიკის რესპონდენტ ტიმ ლეინთან კითხვები 16 თებერვლის ჩათვლით უნდა გამოგზავნოთ, ნაკრების ავსტრალიელ მწვრთნელთან ინტერვიუ კი მომდევნო კვირაში გამოქვეყნდება. ერთი სიტყვით, კითხვები არ დაინანოთ.*



მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com

# ლოტომატიკა მათემატიკაში ჩაიჭრა

## რომაელებმა წამები და ქულები ვერ დათვალეს



**დიდი** ჯახებით დაიწყო ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი. თუ აქამდე ლიდერები ფონს იოლად გადიოდნენ, ახლა მათთვისაც კი გაჭირდა ცხოვრება და თითოეულ მატჩში მაქსიმუმი თუ არ ჩააქსოვეს, მეტოქედ ვინც გინდა ჰყავდეთ, წაგება არ ასცდებათ.

აგერ, თუნდაც „პანათინაიკოსი“ ავიღოთ, პირველი ჯგუფური ეტაპის ღილინ-ღილინით გამლევი და პირველ ადგილზე გვარიანი ფორით გასული გუნდი. ბერძნების სიამაყე „პანამ“ აქამდე ჩრდილში მყოფ და მეორე ეტაპზე ძლივს გამძვრალ „ეფესთან“ წააგო. მართალია, თურქულ-ბერძნულ დაპირისპირებას, გასაგები მიზეზების გამო, სულ სხვა ეშხი ახლავს და მასში ფავორიტის გამორჩევა საჩოთირო საქმეა, მაგრამ მაინც... „პანათინაიკოსი“ აქამდელი შედეგებით ერთი თავით მაღლა იდგა სტამბოლურ გუნდზე, მაგრამ ისე „მშვენივრად“ წააგო, თქვენი მოწონებული.

ცოტაც და, „პანათინაიკოსის“ ბედს გაიზიარებდა ევროლიგის ჩემპიონი ცსკა. არადა, წითელარმიელებსაც განა ვინმე გოლიათი ეტოქებოდა — მოსკოვში იტალიიდან „ლოტომატიკა“, იგივე „რომა“ ჩასულიყო, რომელიც, ცნობილი დეიან ბოდიროგას წასვლის შემდეგ, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი გუნდია.

ჰოდა, ამ „ლოტომატიკამ“ ისეთი თამაში დათმო ბოლო წამებზე, ათასში ერთხელ რომ წააგებს გუნდი. არადა, ცსკა-ს შინ მიჯრით 24 მატჩი ჰქონდა მოგებული და ბოლოს, როცა ლამის გამოუვალ სიტუაციაში იყო, ალბათ ამბობდა, ვისთან წყდება ჩემი გამარჯვებების უგრძესი ჯაჭვიო.

„რომა“ გადამწყვეტი მეოთხედის წინ 51:44 უგებდა ცსკა-ს, მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდა და სირენამდე ოთხიოდ წუთით ადრე 11 ქულით დაწინაურა — 66:55. დრო კი იყო, მაგრამ თუ რამე განსაკუთრებულს ვერ გააკეთებდნენ, მოსკოველებს შანსი აღარ ჰქონდათ და ეს განსაკუთრებული რამ რამუნას შიშკაუსკასის და თეო პაპალუკასის წყვილი სამქულიანი გამოდგა, რამაც არმიელთა ჩამორჩენა სირენამდე წუთით ადრე 3 ქულამდე შეკვეცა.

თუმც რომაელები არ გატყდნენ და ერაზმ ლორბეის ორ საჯარიმოს ამ მატჩის მომავალმა გმირმა ტრაიან ლანგდონმა ერთით უპასუხა და 69:66 — იტალიური გუნდის სასარგებლოდ. მასპინძლები ტაქტიკურ ჯარიმებზე გადავიდნენ, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ როკო უკიჩმა მხოლოდ ქულა შემატა „რომას“, ხოლო ლანგდონმა დამთავრებამდე 12 წამით ადრე უმნიშვნელოვანესი გარღვევით ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა.

ბურთი რომაელებმა შემოიტანეს, მაგრამ ვერ გაუფრთხილდნენ და დე ლა ფუენტეს პაპალუკასმა ჩაუჭრა, რომელზეც უმალ დაჯარიმდნენ სტუმრები. სირენამდე 5 წამით ადრე, როცა ცსკა 69:71 აგებდა, პაპალუკასმა პირველი სროლა ჩააგდო, მეორე აუცდა და გათანაბრების რეალური შანსი გაანიავა.

თითქოს ყველაფერიც აქ დამთავრდა, მაგრამ არმიელებმა ბოლომდე არ მოისვენეს და სენსაციური გამარჯვებაც აი, როგორ მოიპოვეს: პაპალუკასის აცილებული იბრაჰიმ იბნ ჯაბერმა მოხსნა და ცხადია, მას საჯარიმოს ხაზზე „მიუჩინეს“ მასპინძლებმა ადგილი. 4 წამია დარჩენილი, იბრაჰიმმა პირველი ჩააგდო, „რომას“ ორქულიანი უპირატესობა აღადგინა და მეორე აუცდა. ბურთი ჯეიარ ჰოლდენმა მოხსნა, მეტოქის ფარისკენ მქროლ ლანგდონს უპასა, რომელმაც თითქმის ცენტრიდან სირენის თანხლებით გამარჯვების სუპერსამქულიანი ჩააგდო და 72:71 — ცსკა-ს გამარჯვება.

ამ ზედრამატული მატჩის ფონზე, ვერაფერ ორთაბრძოლად ჩანს „არისისა“ და „ფენერბაჰჩეს“ დაპირისპირება, რომელშიც ევროლიგაში მოთამაშე ერთადერთმა ჩვენებურმაც მიიღო მონაწილეობა. ვლადიმერ ბოისამ 17 წუთში 3 ქულა, 2 მოხსნა და 1 პასი მიითვალა, მისმა „არისმა“ კი მეორე ჯგუფური ეტაპი დასაწყისი საშინაო მარცხით წააგო.

„დიდად იმედგაცრუებული ვარ — თქვა ნამატჩევს „არისის“ თავკაცმა გორდონ ჰერბერტმა — დაცვამ ვერაფერი გააკეთა, მეტოქეს 96 ქულა ჩააგდებინა და წავაგებდით, აბა, რა იქნებოდა. მომავალი მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი ადრეულ სტადიაზევე არ დავკარგოთ“.

**ირაკლი პერტაია**

## ევროლიგა

Euroleague

მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. 13-14 თებერვალი

### D ჯგუფი

**ეფესი 74:64 პანათინაიკოსი**

ეფესი: ნიკოლასი (29), ჰატსონი (10)
პანათინაიკოსი: იასიკევიჩიუსი (12), ბატისტა (12)

**სიენა 71:54 პარტიზანი**

სიენა: ლავრინოვიჩი (18), სატო (10)
პარტიზანი: პეკოვიჩი (13), ტრიპკოვიჩი (9)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 1 | 1 | 0 | 17 | 2 |
| ეფესი | 1 | 1 | 0 | 10 | 2 |
| პანათინაიკოსი | 1 | 0 | 1 | -10 | 1 |
| პარტიზანი | 1 | 0 | 1 | -17 | 1 |

### E ჯგუფი

**არისი 88:96 ფენერბაჰჩე**

არისი: რაიტი (17), მესი (17), ბოისა (17 წუთი, 3 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი)
ფენერბაჰჩე: სოლომონი (23), პრელდჟიჩი (13)

**ლიეტუვოს რიტასი 81:84 ტაუ**

რიტასი: პრაისი (23), პეტრავიჩიუსი (18)
ტაუ: სპლიტერი (17), ტელეტოვიჩი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფერენბაჰჩე | 1 | 1 | 0 | 8 | 2 |
| ტაუ | 1 | 1 | 0 | 3 | 2 |
| რიტასი | 1 | 0 | 1 | -3 | 1 |
| არისი | 1 | 0 | 1 | -8 | 1 |

### F ჯგუფი

**რეალი 88:85 ჟალგირისი**

რეალი: ბალოკი (17), რეიესი (17)
ჟალგირისი: მასიულისი (21), ბრაუნი (14)

**ოლიმპიაკოსი 67:75 მაკაბი**

ოლიმპიაკოსი: გრირი (26), ჯეკსონი (14)
მაკაბი: ჰალპერინი (16), მორისი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 1 | 1 | 0 | 8 | 2 |
| რეალი | 1 | 1 | 0 | 3 | 2 |
| ჟალგირისი | 1 | 0 | 1 | -3 | 1 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 0 | 1 | -8 | 1 |

### G ჯგუფი

**ცსკა 72:71 რომა**

ცსკა: ლანგდონი (22), პაპალუკასი (16)
რომა: უკიჩი (13), ლორბეკი (13)

**ბარსელონა 64:62 უნიკახა**

ბარსელონა: ლაკოვიჩი (14), ვასკესი (10)
უნიკახა: ჰაისლიპი (15), კუში (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 2 | 2 |
| ცსკა | 1 | 1 | 0 | 1 | 2 |
| რომა | 1 | 0 | 1 | -1 | 1 |
| უნიკახა | 1 | 0 | 1 | -2 | 1 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჰითი ჰიტი აღარ არის

14 თებერვალი

**ჩიკაგო 99:92 მაიამი**

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (24), სმიტი (19 ქულა, 11 მოხსნა), ნოჩიონი (18), სეფოლოშა (17 ქულა, 12 მოხსნა)
**მაიამი:** ვეიდი (30), მერიონი (23)

**ფინიქსი 109:97 დალასი**

**ფინიქსი:** ბარბოსა (26), სტუდემაიერი (24), ნეში (24 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა), დიაუ (10)
**დალასი:** ნოვიცკი (36 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (29)

„მაიამი ჰითი“ ვერაფრით ფანტავს მის გარშემო შექმნილ ცუდ აურას, აგებს, მერე კი კიდევ აგებს და ასე დაუსრულებლად. ამ უქმეებზე ნიუ ორლეანში გასამართი ყველა ვარსკვლავის მატჩის წინ ნბა უქმობს, გუნდების უმეტესობა ისვენებს და ხუთშაბათსაც მხოლოდ ორი მატჩი გაიმართა. ამ ერთგვარი სიჩუმის ფონზე კიდევ უფრო მჭახე ხმა ჰქონდა 2006 წლის ჩემპიონთა მორიგ მარცხს — პატ რაილის შეგირდებმა ჩიკაგოში იქაურ „ბულზთან“ წააგეს და ეს მარცხი მათვის ზედიზედ მეცხრე და ბოლო 25 თამაშში 24-ე იყო.

კვლავ კარგად ითამაშეს დუეინ ვეიდმა და შაკილ ონილის ნაცვლად „ფინიქსიდან“ გადმოსროლილმა შონ მესიონმა, მაგრამ რად გინდა, ერთს 30 ქულა ჩაეყარა წყალში, მეორეს 23 გაუხუნდა, რაკიღა მაიამელთაგან მათ გარდა ვერავინ შეაკოწიწა თუნდაც 10 ქულა. „ჩიკაგოში“ კი საუკეთესო სათადარიგოდ გამწესებული კირკ ჰაინრიხი იყო. დღის მეორე შეხვედრაში „ფინიქსმა“ დამაჯერებლად დაამარცხა „დალასი“, მიუხედავად წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშის, დირკ ნოვიცკის მორიგი 30-ქულიანი თამაშისა.

**კოტე ყორშია**






ემილ ჰეგლე სვენდსენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნორვეგიელებმა ოქრო მილიმეტრობით აწონეს

**ლეგენდარულ** ნორვეგიელ ოლე ეინარ ბიორნდალენს რამდენიმე მილიმეტრი დააკლდა მსოფლისო ჩემპიონატების მე-11 ოქროს მედლამდე. შვედურ ოსტერსუნდში მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე ხუთშაბათ სალამოს ინდივიდუალური რბოლები ჩატარდა — ქალები 15 კილომეტრზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, კაცები კი კლასიკურ 20 კილომეტრზე და საბოლოო ჯამში ოლემ თავისივე თანამემამულე ემილ ჰეგლე სვენდსენთან 31,4 წამში წააგო. სვენდსენმა ერთი ტყვია ააცილა სასროლეთზე, ხოლო ბიორნდალენმა ორი სამიზნე დატოვა მთელი და თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთი აცილება ერთ საჯარიმო წუთს უდრის, დავინახავთ, რომ ყველაფერი სწორედ ერთმა ტყვიამ და მილიმეტრებმა გადაწყვიტა.

არადა, ოლეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე ინდივიდუალური რბოლა ჯერ არ მოუგია. შეიძლება, ვერც ველარასოდეს მოიგოს, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ დიადი ვიკინგი აუცილებლად მოიპოვებს მსოფლიოს ჩემპიონატების მე-11, იქნებ მე-12 ოქროს მედალსაც. საამისო შანსი მას ოსტერსუნდშიც ექნება ესტაფეტასა და მასსტარტში და გაისადაც — ოლე ხომ 2010 წლის ოლიმპიურ თამაშებამდე აპირებს დიდ სპორტში დარჩენას.

სადღეისოდ კი ბიორნდალენის ანგარიშზე მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოპოვებული 10 ოქროს, 8 ვერცხლისა და 9 ბრინჯაოს მედალია. ამ ჯამური 27 მედლით ის აბსოლუტური რეკორდსმენი გახლავთ და მაღლიდან დაჰყურებს 20-20 მედლიან გერმანელებს — ფრანკ ლუკს (11, 5, 4), რიკო გროსსა (9, 5, 6) და სვენ ფიშერს (7, 6, 7). ერთი ეგაა, რომ ლუკს, ისევე, როგორც გასული საუკუნის 70-იანი წლების საბჭოთა ლეგენდას ალექსანდრ ტიხონოვს, 11 ოქრო აქვს და ნორვეგიელი ახლა სწორედ ამ მეთერთმეტე ოქროზეა დაგეშილი.

ახლა კი სვენდსენი შევაქოთ. ეს ახალი ვიკინგი აშკარად ყოჩაღი ბიჭი ჩანს და განსაკუთრებით ინდივიდუალურ რბოლებშივარგობს — მანამდე სლოვენიურ პოკლიუკაში, მსოფლიოს თასის ეტაპზე, სწორედ ამ სახეობაში იმარჯვა.

ბრინჯაოს მედალი კი რუსმა დებიუტანტმა მაქსიმ მაქსიმოვმა მოიპოვა, რომელმაც მონაწილეთაგან ერთადერთმა, უშეცდომოდ ისროლა და ამ ჩუბინობის წყალობით პოდიუმზეც შედგა ფეხი.

ქალთა შეჯიბრში საუკეთესო მაქსიმოვის თანამემამულე ეკატერინა იურევა იყო, რომელმაც ასევე უშეცდომოდ ისროლა. არადა, სხვა ფავორიტებმა — ანდრეა ჰენკელმა, კატი ვილჰელმმა, სადრინ ბაიიმ, კაისა მაკარაინენმა, ერთბაშად ექვს-ექვსი შეცდომა დაუშვეს სასროლეთზე და იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ იურევა შესანიშნავი მოთხილამურეა, სხვა კონკურენტებს მისი ჯობნის შანსი არც ჰქონიათ.

**მსოფლიოს ჩემპიონატი. ოსტერსუნდი. შვედეთი. 9-17 თებერვალი**

**ქალები**

**15 კმ. ინდივიდუალური 4 სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. ეკატერინა იურევა (რუსეთი) | 44 წთ 23,8 წმ (0 აცდენა, |
| 2. მარტინა გლაგოვი (გერმანია) | 45.37,1 (1) |
| 3. ოქსანა ხვოსტენკო (უკრაინა) | 46.48,2 (1) |
| 4. ტორა ბერგერი (ნორვეგია) | 46.52,3 (2) |
| 5. ტატიანა მოისეევა (რუსეთი) | 47.04,3 (1) |

**კაცები**

**20 კმ. ინდივიდუალური 4 სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 51 წთ 51,9 წმ (1 აცდენა) |
| 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 52.23,3 (2) |
| 3. მაქსიმ მაქსიმოვი (რუსეთი) | 52.26,7 (0) |
| 4. სიმონ ჰურკადი (საფრანგეთი) | 52.57,3 (1) |
| 5. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 53.13,9 (3) |

## სნუკერი

### უელსის ღია პირველობა. ნიუპორტი. 11-17 თებერვალი

# სელბის ორქიდი: ერთი მილი და კარგი კიი


მარკ სელბი

**მერვედფინალი**

**ალისტერ კარტერი** (ინგლისი) — ნილ რობერტსონი (ავსტრალია) 5:3; **რონი ოსალივანი** (ინგლისი) — სტივ დევისი (ინგლისი) 5:3; **ჯო პერი** (ინგლისი) — სტიურატ ბინემი (ინგლისი) 5:2; **შონ მერფი** (ინგლისი) — მარკ უილიამსი (უელსი) 5:2; **სტივენ ლი** (ინგლისი) მაიკლ ჯადი (ინგლისი) 5:2; **სტივენ ჰენდრი** (შოტლანდია) — რაიან დეი (უელსი) 5:4; **მარკ სელბი** (ინგლისი) — კენ დოჰერტი (ირლანდია) 5:2; **ჯონ ჰიგინსი** (შოტლანდია) — დინ ჯინხუ (ჩინეთი) 5:1

**ტურნირის** ყველაზე ახალგაზრდა მონაწილესთან, 18 წლის ჯად ტრამპთან 5:3 გამარჯვების შემდეგ რონი ოსალივანმა ანალოგიური ანგარიშით დაჯაბნა შეჯიბრის დუაიენი, 50 წლის მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი სტივ დევისი. რონი 4:1-ს იგებდა, ცოტა მოეშვა და მეტოქე ახლოს მიუშვა, თუმცა მეცხრე ფრეიმამდე საქმე აღარ მიიყვანა.

მეოთხედფინალში ოსალივანი ალისტერ კარტერს შეხვდება, რომელმაც უელსის ღია პირველობის შარშანდელ გამარჯვებულს, ნილ რობერტსონს მოუგო. უცნაური მატჩი გამოვიდა — კარტერი 4:0 დაწინაურდა და თითქოს ყველაფერი ნათელი იყო, მაგრამ წლეულს საზიზღრად მოთამაშე ოზმა მაინც გაიბრძოლა, ჩამორჩენა მინიმუმამდე დაიყვანა, მაგრამ ეს იყო და ეს — ბოლოს, მაინც ინგლისელმა იმარჯვა.

და საერთოდაც — წლევანდელი უელსური შეჯიბრი აშკარად ინგლისური ფერებით იღებება. რვა მეოთხედფინალისტიდან ექვსი ინგლისელია და მათ კომპანიას ტიტულოვანი სქოთები, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი სტივ ჰენდრი და ორგზის ტრიუმფატორი და მოქმედი ჩემპიონი ჯონ ჰიგინსი უწევენ. ჰიგინსმა მერვედფინალში 5:1 გაანადგურა დინ ჯინხუ. არადა, ამ მატჩში ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ ფსიქოლოგიურად საკმაოდ მყიფე ჩინელი, როგორც არაერთხელ მომხდარა, ამ ჯერზეც გატყდა.

ჰენდრის პირიქით, ბოლომდე ბრძოლა მოუწია მასპინძელ რაიან დეისთან და 3:4 ჩამორჩენის შემდეგ ორი მშვენიერი სერიით უწია მეოთხედფინალს, სადაც ინგლისელ სეხნია ლის შეხვდება.

ორივე შოტლანდიელი ბადის ქვედა ნახევარშია და თუ ჰენდრი ლის მოუგებს, ხოლო ჰიგინსი სელბის, მაშინ ერთი ნახევარფინალი სქოთური გამოვა. სელბი და ჰიგინსი შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ შოტლანდიელმა იმარჯვა.

ამჯერად ამის გაკეთება იოლი არ იქნება. სელბი მშვენიერ ფორმაშია და ეს ირლანდიელ ექსჩემპიონ კენ დოჰერტისთან მატჩშიც დაამტკიცა და მატჩამდეც, როდესაც ერთგვარი შოუ მოაწყო და სნუკერის მაგიდის გარშემო ერთი მილი გაირბინა. ამ საქმეს სელბიმ 113 წრე და 18 წუთი და 16 წამი მოანდომა, შემდეგ კი უპრობლემოდ აჯობა დოჰერტის, თანაც ერთი ასქულიანი ბრეიკიც გააჩერხა.

ზედა ნახევარში კი კარტერსა და ოსალივანს შორის გამარჯვებული ნახევარფინალში ჯო პერისა და შონ მერფის შორის საუკეთესოზე გავა. პერი მეოთხედფინალისტთა შორის ყველაზე დაბალრეიტინგიანია, თუმც ნიუპორტში მშვენივრად თამაშობს და ჯერჯერობით, სწორედ მის ანგარიშზეა ყველაზე მეტი, ოთხი ასქულიანი ბრეიკი.

მერფის რაც შეეხება, ის „მალტის თასის" მოგების შემდეგ ტემპის დაგდებას არ აპირებს და ბოლო ორ კვირაში, ზედიზედ, უკვე მერვე მეტოქეს გაუსწორდა. ამჯერად ეს მეტოქე მასპინძელთა კერპი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი მარკ უილიამსი იყო. ამ შეხვედრაში ოთხი ფრეიმის შემდეგ ანგარიში თანაბარი იყო, მაგრამ შემდეგ მერფიმ ორი ასქულიანი ბრეიკი გააკეთა და უელსური შეჯიბრი შინაური ხალხის გარეშე დატოვა.

## ავტორბოლა


ჰეიკი კოვალაინენი

# ხერესი ჰეიკიმ დახურა

**ესპანეთში,** ხერესის ავტოდრომზე, მორიგი წინასასეზონო ტესტ-სესია დასრულდა. ბოლო დღის და ზოგადად, მთელი ამ სესიის საუკეთესო დრო „მაკლარენ-მერსედესის" ფინელმა პილოტმა ჰეიკი კოვალაინენმა აჩვენა, რომელმაც ხერესულ ტრასას წუთსა და 17,974 წამში შემოუქროლა.

კოვალაინენის ინგლისელი თანაგუნდელი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ლუის ჰემილტონი მეოთხე იყო (1.19,429). ორ „მაკლარენს" შორის კი ხერესში აშკარად თავგამოჩენილი გუნდების, „რედ ბულისა" და „უილიამსის" მრბოლები, შესაბამისად, მოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი და იაპონელი კაზუკი ნაკაჯიმა განლაგდნენ.

შეგახსენებთ, რომ წინა დღეს საუკეთესო დრო კულტჰარდის ავსტრალიელ თანაგუნდელ მარკ ვებერს ჰქონდა, თუმცა ამ უკანასკნელმა შემდეგ განაცხადა, რომ მისი ბოლიდის ავზში ძალიან ცოტა ბენზინი ესხა და შედეგიც ამით იყო გამოწვეული.

„ჩვენ ვიცით, რომ ყველაზე სწრაფები არ ვართ, თუმცა ისიც ვიცით, რომ ჩვენი ადგილი ბოლოში ნამდვილად არ არის და თანაც, დარწმუნებულნი ვართ მანქანის საიმედოობაში" — ეს კი, უკვე კულტჰარდის სიტყვებია, რომელმაც, როგორც ვთქვით, ტესტების დასკვნით დღეს მეორე შედეგი აჩვენა.

რაც შეეხება „უილიამსებს", მათ ბოლიდებზე ახალი წინა ანტიფრთა ეყენა და ამ ჯერზე, სერ ფრენკ უილიამსის გუნდს, მანქანის ამ ნაწილის გამო არანაირი პრობლემა არ შექმნია.

ხერესული ტესტების ბოლო დღეს მშვენივრად იბოლა „ტორო როსოს" ხალხმაც — გერმანელმა სებასტიან ფეტელმა მეექვსე შედეგი აჩვენა, ხოლო მისი ფრანგი თანაგუნდელი, 2004-07 წლებში ამერიკული „ჩემპ კარის" სერიის ზედიზედ ოთხჯერ მომგები სებასტიენ ბურდე მერვე იყო.

ხერესული ტესტები დასრულდა, თუმცა სამეფო რბოლების ქარავანი კვლავაც ესპანეთში რჩება — 19-21 თებერვალს ბარსელონაში მორიგი ტესტ-სესიაა, რომელშიც ხერესში არჩასული „ფერარი" და „ტოიოტაც" მიიღებენ მონაწილეობას.

ეს უკვე საინტერესო იქნება, რადგანაც, ტრასაზე გვერდიგვერდ დადგებიან სეზონის ფავორიტების, „ფერარისა" და „მაკლარენის" მანქანები.

შეგახსენებთ, რომ „ფერარიმ" ბოლო ტესტები, „ტოიოტასთან" ერთად, ბაჰრეინში გაიარა და იაპონური გუნდის იტალიელმა მრბოლმა იარნო ტრულიმ განაცხადა, წლევანდელი ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ მისი საბოლოო შედეგი ჩემთვის უკვე ცნობილია. „ფერარი" ყველაზე გაცილებით სწრაფია და თვით „მაკლარენს" წრეზე ნახევარი წამით სჯობსო.

ვნახოთ, ბარსელონაში უკვე რა დარებაც მოხერხდება.

**კახა ლომაძე**

## ხელბურთი

# სერგომ მოუკლო, ლიუბეკემ წააგო

**საქართველოს** ხელბურთელთა ნაკრებისა და გერმანული „ლიუბეკეს" ლიდერმა სერგო დათუკაშვილმა ბუნდესლიგის 21-ე ტურში სამი ბურთი შეაგდო, თუმც მისი გუნდი უშანსოდ, 23:34 დამარცხდა მე-6 ადგილზე მყოფ „გუმერსბახთან".

ეს გუნდი ცხრილის სათავეში არ არის, მაგრამ გერმანულ გრანდთაგანია, ამიტომაც მჩანჩალა მეტოქის დაჩაგვრა იოლად შეძლო. ახლა სერგოს გუნდი სატურნირო ცხრილში მე-15 — მე-16 ადგილებს იყოფს „მინდენთან" 11 ქულით. ქართველის მონაგარი კი 21 თამაშში 116 გოლია და ბომბარდირებში მე-13 ადგილზე იმყოფება.

დათუკაშვილი მეორე წრეში უჩვეულოდ პასიურია. თუ ჩემპიონატის დასაწყისში საშუალოდ 10 ბურთი მაინც გაჰქონდა და პასებსაც გვარიანად არიგებდა, ახლა ეს საქმე მთლად კარგად ველარ გამოსდის. ვეჭვობთ, რომ ჩაგდებული პირველი წრის მერე „ლიუბეკეს" ხელმძღვანელობამ შემადგენლობა გადაახალისა და ჩვენებურის შედეგიანობამაც ამიტომ იკლო...

**ლექსო მაისურაძე**

## მთის თხილამურობა

# სტუდენტური გუდაური

**15-17 თებერვალს** გუდაური სამთო-სათხილამურო ტურნირს უმასპინძლებს გიგანტურ სლალომში. ჩემპიონ-პრიზიორები სტუდენტებს შორის გამოვლინდება. სულ გუდაურს 60-მდე სტუდენტი ჩააკითხავს. ამ ყველაფერს ორგანიზებას კი საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი გაუწევენ. პრიზიორებს სხვადასხვა საჩუქრებს ჩამოურიგებენ. ფედერაციას მომავალშიც ბევრი ღონისძიება აქვს დაგეგმილი.

**ლექსო მაისურაძე**

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

14 თებერვალი

**კაროლინა 4:2 პიტსბურგი**

*1:1 1:1 2:0*

1:0 კოული (4), 1:1 ორპიკი (13), 1:2 მალკინი (23), 2:2 სტაალი (31), 3:2 უიტნი (44), 4:2 ბაიდა (52)

**ფილადელფია 3:5 ტამპა**

*2:1 0:3 1:1*

0:1 პროსპალი (6), 1:1 ლუპული (11), 2:1 დაუნი (20), 2:2 ბოილი (23), 2:3 პლავაჩი (31), 2:4 სენ ლუი (37), 2:5 უორდი (43), 3:5 კარტერი (47)

**ტორონტო 4:5 აილენდერსი**

*0:1 2:2 2:2*

0:1 ბერარდი (17), 1:1 ტაკერი (28), 2:1 სუნდინი (30), 2:2 ფედოტენკო (35), 2:3 კომრი (38), 2:4 ფედოტენკო (45), 3:4 სტაიანი (51), 3:5 მეიერი (60), 4:5 პონიკაროვსკი (60)

**ნეშვილი 1:6 ჩიკაგო**

*0:3 0:2 1:1*

0:1 კეიტი (2), 0:2 ტეივსი (7), 0:3 ტეივსი (13), 0:4 ბურკი (23), 0:5 ბარკერი (24), 0:6 შარპი (44), 1:6 არნოტი (47)

**კოლორადო 1:4 სენტ ლუისი**

*0:2 0:1 1:1*

0:1 კარია (4), 0:2 მაკლემენტი (11), 0:3 ჯონსონი (22), 1:3 ჰაიტი (44), 1:4 ბეკსი (59)

**ფინიქსი 5:2 დალასი**

*2:1 1:0 2:1*

1:0 დოანი (12), 1:1 იოკინენი (14), 2:1 კარჩილიო (17), 3:1 კაპანენი (39), 4:1 ვრბატა (46), 4:3 ნისკანენი (50), 5:3 ბოინტონი (59)

**ვანკუვერი 4:5 მინესოტა**

*0:1 1:1 3:2 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 ვეიო (14), 0:2 ვეიო (33), 1:2 ისბისტერი (36), 2:2 კესლერი (42), 3:2 ედლერი (43), 3:3 ფოსტერი (50), 3:4 გაბორიკი (53), 4:4 ედლერი (58)

**სან ხოსე 2:3 ედმონტონი**

*0:0 1:2 1:1*

0:1 ჰემსკი (22), 0:2 ბროძიაკი (30), 1:2 პავლსკი (37), 1:3 პიზანი (44), 2:3 გრირი (49)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge